2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის 2022 წლის მონიტორინგის წლიური ანგარიში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
იანვარი, 2023 წელი

სარჩევი

შესავალი 4

შემაჯამებელი მიმოხილვა 5

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსი 9

საპროექტო იდეებისა და წინადადებების შემუშავებისა და შერჩევის პროცესი 10

საპროექტო იდეის წარდგენისა და შეფასების პროცესი 10

სრული საპროექტო განაცხადების წარდგენისა და შეფასების პროცესი 13

პროგრამის განხორციელების ფიზიკური და ფინანსური პროგრესი 15

პრიორიტეტი 1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე 15

პრიორიტეტი 2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა 19

პრიორიტეტი 3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა 21

პრიორიტეტი 4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება 29

პრიორიტეტი 5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება 31

EU4ITD ფინანსური შეთანხმების შესაბამისად გათვალისწინებული დელეგირებული თანამშრომლობის მხარდაჭერის ფარგლებში მიღწეული პროგრესი 32

EU4ITD ფინანსური შეთანხმების მე-2 ცვლადი ტრანშის პირობების შესრულების მიმოხილვა 36

ინდიკატორი 1.1.2 a-ს სამიზნის შესრულების მიმოხილვა 37

ინდიკატორი 1.1.2 b-ს სამიზნის შესრულების მიმოხილვა 39

ინდიკატორი 1.4.2-ს სამიზნის შესრულების მიმოხილვა 41

ინდიკატორი 2.1.2-ს სამიზნის შესრულების მიმოხილვა 45

ინდიკატორი 2.2.2-ს სამიზნის შესრულების მიმოხილვა 51

ინდიკატორი 3.1.2-ს სამიზნის შესრულების მიმოხილვა 57

2022 წელს სრიგპ-ის განხორციელებისას გამოკვეთილი ხარვეზები და რეკომენდაციები 63

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. პროექტებისა და ფინანსებიც მოცულობა პრიორიტეტებისა და რეგიონების მიხედვით.....7
ცხრილი 2. სრიგპ-ის ფინანსების რეგიონული განაწილება და ათვისება.....8
ცხრილი 3. ფინანსების განაწილება საპილოტე რეგიონების და პრიორიტეტების მიხედვით.....9
ცხრილი 4. პრიორიტეტი ერთის ფარგლებში 2022 წელს გამოყოფილი თანხა და განაწილება რეგიონულ ჭრილში.....16
ცხრილი 5. წარმოდგენილი და შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა.....16
ცხრილი 6. პროექტების და ფინანსების მოცულობა პრიორიტეტი 1-ს შესაბამისად.....17
ცხრილი 7. ღონისძიება 1.1-ის ფარგლებში მყისიერი შედეგების სამიზნეები.....18
ცხრილი 8. პრიორიტეტი 2-ის ფარგლებში 2022 წელს გამოყოფილი თანხა საპილოტე რეგიონების მიხედვით. 19
ცხრილი 9. წარმოდგენილი და შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა.....20
ცხრილი 10. პროექტებისა და ფინანსებიც მოცულობა მე-2 პრიორიტეტის შესაბამისად.....20
ცხრილი 11. ღონისძიება 2.1-ის ფარგლებში მყისიერი შედეგების სამიზნეები.....21
ცხრილი 12. პროგრამის კომპონენტების მიხედვით ბიუჯეტის განაწილება.....24
ცხრილი 13. შემოსული განაცხადების რაოდენობა რეგიონების მიხედვით.....25
ცხრილი 14. დაფინანსებული განაცხადების რაოდენობა და მოცულობა რეგიონების მიხედვით.....25
ცხრილი 15. კომპონენტის ფარგლებში შემოსული განაცხადების რაოდენობა რეგიონების მიხედვით..27
ცხრილი 16. პროგრამის ბიუჯეტის რეგიონული განაწილება.....27
ცხრილი 17. პრიორიტეტი 4-ის ფარგლებში 2022 წელს გამოყოფილი თანხა 29
ცხრილი 18. წარმოდგენილი და შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა.....29
ცხრილი 19. მე-4 პრიორიტეტისთვის გამოყოფილი თანხის მოცულობა და პროექტების რაოდენობა რეგიონების შესაბამისად.....30
ცხრილი 20. ღონისძიება 4.2.-ის და ქვე-ღონისძიება 4.3. ა-ს მყისიერი შედეგების სამიზნეები 31
ცხრილი 21. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეული და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტების რაოდენობა და წილი 38
ცხრილი 22. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეული და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტების რაოდენობა და ფინანსური მოცულობა.....41
ცხრილი 23. სრიგპ-ს ბიუჯეტის განაწილება პრიორიტეტების მიხედვით 2020-2022 წწ (სრიგპ-ის ცხრილი 20) 42
ცხრილი 24. სრიგპ-ს თანხების რეგიონებს შორის განაწილება (სრიგპ-ის ცხრილი 21).....42
ცხრილი 25. სრიგპ-ის შესრულება პრიორიტეტების მიხედვით 43
ცხრილი 26. სრიგპ-ის შესრულება რეგიონების მიხედვით.....45
ცხრილი 27. EU4ITD ფინანსური შეთანხმების 2.1.2 ინდიკატორის სამიზნეები.....46
ცხრილი 28. EU4ITD ფინანსური შეთანხმების 2.1.2 ინდიკატორის სამიზნეების მიღწევის პროგრესი.....50
ცხრილი 29. პროგრამის კომპონენტების მიხედვით ბიუჯეტის განაწილება.....52
ცხრილი 30. შემოსული განაცხადების რაოდენობა რეგიონების მიხედვით.....53
ცხრილი 31. დაფინანსებული განაცხადების რაოდენობა და მოცულობა რეგიონების მიხედვით.....53
ცხრილი 32. კომპონენტის ფარგლებში შემოსული განაცხადების რაოდენობა რეგიონების მიხედვით..54
ცხრილი 33. EU4ITD ფინანსური შეთანხმების 3.1.2 ინდიკატორის სამიზნეები.....57
ცხრილი 34. EU4ITD ფინანსური შეთანხმების 3.1.2 ინდიკატორის სამიზნეების მიღწევის პროგრესი.....62

ფიგურების ნუსხა

ფიგურა 1. პროექტების რაოდენობა და წილი რეგიონების მიხედვით (გარდა მე-3 პრიორიტეტისა). 6
ფიგურა 2. შემოსული საპროექტო იდეების რაოდენობა რეგიონების მიხედვით.....11
ფიგურა 3. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ შერჩეული საპროექტო იდეების რაოდენობა რეგიონების მიხედვით 12
ფიგურა 4. საპილოტე რეგიონების საპროექტო იდეებისა შერჩევა-შეფასება რეგიონების მიხედვით.....12
ფიგურა 5. შემოსული საპროექტო წინადადებების რაოდენობა და წილი რეგიონების მიხედვით.....13
ფიგურა 6. 2022 წელს საპილოტე რეგიონებში საპროექტო განაცხადების შერჩევა-შეფასება.....14
ფიგურა 7. ფინანსური რესურსების რეგიონული განაწილება. 22
ფიგურა 8. გამოყოფილი და გაცემული გრანტების შედარება 23
ფიგურა 9. დაფინანსებული პროექტების რეგიონული განაწილება.....24
ფიგურა 10. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა, ფინანსური მოცულობა და რეგიონული განაწილება. 26
ფიგურა 11. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა, ფინანსური მოცულობა და რეგიონული განაწილება.....28
ფიგურა 12. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა, ფინანსური მოცულობა და რეგიონული განაწილება.....54
ფიგურა 13. ფინანსური რესურსების რეგიონული განაწილება 55
ფიგურა 14. გამოყოფილი და გაცემული გრანტების შედარება 56
ფიგურა 15. დაფინანსებული პროექტების რეგიონული განაწილება.....56

შესავალი

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერს №628 დადგენილებით. პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს ოთხ რეგიონში - კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - ინტეგრირებული რეგიონული განვითარების ღონისძიებების განხორციელებას, რომლის მთლიანი ღირებულება 3 წლის განმავლობაში 63.75[1] მილიონი ევროა და მიზნად ისახავს აღნიშნულ რეგიონებში კონკურენტუნარიანობის ზრდას და თბილისსა და ბათუმთან შედარებით არსებული სოციო-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული უთანაბრობების შემცირებას.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მთავარი მიზანია საპილოტე რეგიონში ხელსაყრელი გარემოს შექმნა დაბალანსებული მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის, ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ინიციატივების საშუალებით.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამას აქვს მკაფიო საპილოტე და სადემონსტრაციო როლი, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს განახორციელოს რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული არიან ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და დაინტერესებულ მხარეთა სხვა ჯგუფები.

პროგრამა შემუშავებულია ევროკავშირთან თანამშრომლობით. 2020 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ფინანსური შეთანხმების შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად ევროკავშირი 54 მლნ. ევროს გამოყოფს, საქართველოში თანამედროვე ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის შესაბამისი რეგიონული განვითარების პოლიტიკის მხარდასაჭერად.

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მთავარი სტრატეგიული მიზანი მიღწეული იქნება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც პასუხობენ რეგიონებში გამოვლენილ საჭიროებებსა და პოტენციალს. აღნიშნული ღონისძიებები კონცენტრირებულია ხუთ შეთავაზებულ პრიორიტეტულ მიმართულებაზე:

1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე;
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა;
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება;
5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება.

[1] აღნიშნული თანხა არ მოიცავს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიმღებების მხრიდან პროექტების თანადაფინანსებას. გარდა ამისა 13.25 მილიონი ევრო მიემართება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუციებისთვის (UNDP-სა და GIZ) პროგრამის ღონისძიებების განხორციელების, აგრეთვე ტექნიკური და ექსპერტული დახმარებისთვის.

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შესარჩევად საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით დამტკიცდა „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესი“, რომელიც აწესრიგებს პროგრამის ფარგლებში პროექტების შემუშავების, წარდგენის, შეფასების შერჩევის და დაფინანსების წესს, აგრეთვე განსაზღვრას მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობასა და ვალდებულებებს. ამ განკარგულების მიხედვით მონიტორინგის წლიური ანგარიში მზადდება წელიწადში ერთხელ, თუმცა აღსანიშნავია, რომ გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ფინანსური შეთანხმების (EU4ITD) მომდევნო მე-3 ტრანშის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩამოსარიცხად მისაღწევი ინდიკატორების და მათი სამიზნეების შესრულების ევროკავშირის შემფასებელი მისიის წინასწარი ანგარიში უნდა მომზადებულიყო 2022 წლის 15 ოქტომბრამდე და სრიგპ-ის მონიტორინგის ანგარიში წარმოადგენს ამ ინდიკატორების შემოწმების წყაროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამონაკლისის სახით ამ მიზნისთვის მოამზადა სრიგპ-ის განხორციელების მონიტორინგის 2022 წლის შუალედური ანგარიში.

წარმოდგენილი ანგარიში შემუშავებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, საპილოტე რეგიონების სამხარეო ადმინისტრაციებისა და მუნიციპალიტეტების ჩართულობით და მოიცავს 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 2022 წელს განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

შემაჯამებელი მიმოხილვა

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ღონისძიებების განსახორციელებლად 2020-2021 და 2022 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისად გამოიყო 5[2], 30 [3]და 170[4] მილიონი ლარი. პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის მიერ მოწონებულ იქნა პროგრამის განხორციელების 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) სრიგპ-ით გათვალისწინებული პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისათვის ყოველწლიურად განსაკარგი ჯამური თანხის შესახებ; ბ) სრიგპ-ით გათვალისწინებული პროგრამის თითოეული პრიორიტეტისთვის/ღონისძიებისთვის ან/და ქვე-ღონისძიებისთვის განსაკარგი თანხის შესახებ, შესაბამისი რეგიონისთვის; გ) სრიგპ-ის ფარგლებში კონკურს(ებ)ის გამოცხადების განრიგის შესახებ; დ) სრიგპ-ის განხორციელების კოორდინაციისა და მონიტორინგის აქტივობების შესახებ; ე) მომდევნო საბიუჯეტო წლის საპროგნოზო მონაცემების ფარგლებში, ამ უკანასკნელისა და მიმდინარე საბიუჯეტო წლის ჯამური განსაკარგი თანხების ფარგლებში, გათვალისწინებული ინფორმაცია.

[2] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 ივნისის N1007 განკარგულება;

[3] 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი;

[4] 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი

პროგრამის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა მომზადდა 2020 წლის მონიტორინგის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების საფუძველზე და შედეგად კონკურსანტებს - მუნიციპალიტეტებს მიეცათ მრავალწლიანი პროექტების წარმოდგენის სამართლებრივი შესაძლებლობა. ახალმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა შესაბამისი რეგიონების პრიორიტეტებზე წლების მიხედვით გამოყოფილი თანხების კონსოლიდაცია, რომლის საფუძველზეც დაფინანსდა დიდი მოცულობის მნიშვნელოვანი პროექტები. აღნიშნული მიდგომის გამოყენება განსაკუთრებულად საჭირო იყო გურიისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისთვის მათთვის ღონისძიებებზე გადანაწილებული მცირეოდენი თანხის მოცულობიდან გამომდინარე. ამასთან, აღსანიშნავია რომ ახალმა მიდგომამ გააუმჯობესა სრიგპ-ის პრიორიტეტებზე განსახორციელებლად გამოყოფილი თანხების ათვისების მაჩვენებლები.

საანგარიშო პერიოდში პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 72 პროექტთან დაკავშირებით (საიდანაც 5 პროექტი იყო სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ 2021 წელს შერჩეული), რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 98,801,502 ლარს, ხოლო სრიგპ-დან გამოყოფილი თანხა 95,312,747 ლარს (სხვაობა მოიცავს მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებას, ასევე ტენდერების დასრულების შემდეგ წარმოქმნილ ეკონომიებს).

ფიგურა 1. პროექტების რაოდენობა და წილი რეგიონების მიხედვით (გარდა მე-3 პრიორიტეტისა).



სრიგპ-ის 2022 წლის ბიუჯეტიდან 29,258,985 ლარი მიემართა 2021 წელს დაფინანსებული მრავალწლიანი პროექტებისთვის. ჯამში 2022 წლის სრიგპ-ის ბიუჯეტიდან პრიორიტეტები 1, 2 და 4-ის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა 123,424,026 ლარის პროექტები. გარდა ამისა სრიგპ-ის მე-3 პრიორიტეტის - „მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა“-ისთვის 2022 წელს სამ სახელმწიფო სააგენტოს გამოეყო 36,560,116 ლარი - ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამის განხორციელების მიზნით 2022 წელს 17 060 116 ლარი, სსიპ-ს აწარმოე საქართველოში პროგრამის განხორციელების მიზნით 16 200 000 ლარი და სსიპ-ს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამის განხორციელების მიზნით - 3 300 000 ლარი, საიდანაც

2022 წელს საანგარიშო პერიოდისთვის მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში ჯამში გაცემულია 36,285,210 ლარის მოცულობის გრანტები, რაც მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი 36,560,116 ლარის 99%. ჯამში 2022 წლის მონაცემებით სრიგპ-ის ფარგლებში ათვისებულია 159,709,236, რაც 2022 წელს პროექტების დაფინასებისთვის 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი 170 000 000 ლარის 94%. მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებამ შეადგინა 3,714,872.09 ლარი, რაც 2022 წელს დაფინანსებული პროექტების ღირებულების დაახლოებით 4%-ია.

ცხრილი 1. პროექტებისა და ფინანსებიც მოცულობა პრიორიტეტებისა და რეგიონების მიხედვით

პრიორიტეტი	რეგიონი	პროექტების რაოდენობა	ათვისებული თანხა	გამოყოფილი დაფინანსება	შესრულების მაჩვენებელი %
1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე	იმერეთი	14	26,531,387	28,921,829	92%
	კახეთი	12	25,166,319	27,710,246	91%
	გურია	4	9,477,782	10,911,444	87%
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1	4,077,450	4,079,721	100%
	ჯამი	**31**	65,252,938	**71,623,239**	**91%**
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	იმერეთი	6	7,886,736	8,465,386	93%
	კახეთი	2	6,928,420	7,316,870	95%
	გურია	2	2,064,510	2,347,353	88%
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3	864,454	915,419	94%
	ჯამი	**13**	17,744,120	**19,045,028**	**93%**
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა	იმერეთი	181	16,317,708	15,998,707	102%
	კახეთი	144	10,352,606	13,026,369	79%
	გურია	61	7,659,180	5,129,384	149%
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	34	1,955,715	2,405,656	81%
	ჯამი	**420**	**36,285,210**	**36,560,116**	**99.2%**
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება	იმერეთი	8	17,787,534	17,941,345	99%
	კახეთი	9	13,701,901	15,463,171	89%
	გურია	3	5,937,170	6,206,543	96%
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3	3,000,363	3,160,558	95%
	ჯამი	**23**	40,426,968	**42,771,617**	**95%**
ჯამი		**487**	**159,709,236**	**170,000,000**	**94%**

გარდა ამისა თითოეული რეგიონისა და პრიორიტეტების მიხედვით თანხების ათვისების მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია. ამ კუთხით გამოირჩევა მე-3 პრიორიტეტი, გამოყოფილი თანხის 99% ათვისებით.

რეგიონულ ჭრილში სრიგპ-ის ფარგლებში საკმაოდ კარგია ათვისებული თანხის კუთხით არსებული მდგომარეობა, კერძოდ სრიგპ-ის ფარგლებში საქართველოს მთავრობის N628

დადგენილებით გათვალისწინებული თანხის - 143,960,350 ათვისება 134% შეადგენს. გარდა ამისა საქართველოს მთავრობის N2379 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ათვისების მაჩვენებელი შეადგენს 94%. ამ კუთხით შედარებით ჩამორჩება მხოლოდ კახეთის რეგიონი ათვისებული 88% მაჩვენებლით.

ცხრილი 2. სრიგპ-ის ფინანსების რეგიონული განაწილება და 2022 წლის თანხის ათვისება

რეგიონი	განაწილება (%)	განაწილება ₾[5]	საქართველოს მთავრობის N2379 განკარგულებით გამოყოფილი თანხა	ათვისებული თანხა 2022	საანგარიშო პერიოდში N2379 განკარგულების თანხის ათვისების მაჩვენებელი %
იმერეთი	43.8	54,163,300	71,327,267	68,523,365	96%
კახეთი	35.6	17,104,200	63,516,655	56,149,246	88%
გურია	14.0	28,507,000	24,594,724	25,138,642	100%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6.6	44,185,850	10,561,354	9,897,982	94%
სულ	**100.0**	**143,960,350**	**170,000,000**	**159,709,236**	**94%**

[5] სრიგპ-ის ფარგლებში გამოყოფილი 50.5 მილიონი ევრო გაანგარიშებულია ეროვნული ბანკის 18/08/2022 კურსით , 1 ევრო - 2.8507 ლარი.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად, კონკურსის გამოცხადების საფუძველს წარმოადგენს წლიური სამოქმედო გეგმა, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მოსაწონებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით შექმნილი საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიას.

მოწონებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად 2021 წელს გათვალისწინებული იყო ორი კონკურსის გამოცხადება, თუმცა მოგვიანებით, კომისიის გადაწყვეტილებით გამოცხადდა ღია კონკურსი, რომელიც სრული საპროექტო განაცხადების შემთხვევაში გრძელდებოდა 2022 წლის აგვისტოს ბოლომდე რისთვისაც საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 ივნისის N920 განკარგულებით, რომელშიც 2021 წლის 27 დეკემბერს შევიდა ცვლილება N2379 და ჯამში გამოიყო 2021 წელს 30 მილიონი, ხოლო 2022 წლისთვის გათვალისწინებულ იქნა 170 მილიონი ლარი. გეგმის თანახმად, გამოყოფილი თანხა ფორმულის შესაბამისად გადანაწილდა საპილოტე რეგიონებზე ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

ცხრილი 3. ფინანსების განაწილება საპილოტე რეგიონების და პრიორიტეტების მიხედვით

პრიორიტეტი	საპილოტე რეგიონი	თანხის ოდენობა 2021 წელი (ლარი)	თანხის ოდენობა 2022 წელი (ლარი)
1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე	იმერეთი	5 111 299,35 ₾	28 921 828,55 ₾
	კახეთი	-	27 710 245,59 ₾
	გურია	-	10 911 443,89 ₾
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1 037 691,70 ₾	4 079 721,04 ₾
	ჯამი	**6 148 991,05 ₾**	**71 623 239,07 ₾**
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	იმერეთი	2 120 955,40 ₾	8 465 386,23 ₾
	კახეთი	1 302 676,88 ₾	7 316 869,57 ₾
	გურია	1 046 759,76 ₾	2 347 352,97 ₾
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	676 402,81 ₾	915 419,13 ₾
	ჯამი	**5 146 794,85 ₾**	**19 045 027,90 ₾**
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა	იმერეთი	1 343 381,24 ₾	15 998 706,76 ₾
	კახეთი	1 093 799,67 ₾	13 026 369,33 ₾
	გურია	430 704,73 ₾	5 129 384,27 ₾
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	201 998,37 ₾	2 405 655,63 ₾
	ჯამი	**3 069 884,00 ₾**	**36 560 116,00 ₾**
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება	იმერეთი	7 097 255,98 ₾	17 941 345,47 ₾
	კახეთი	4 923 606,59 ₾	15 463 170,60 ₾
	გურია	1 821 144,04 ₾	6 206 542,85 ₾
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1 792 323,48 ₾	3 160 558,12 ₾
	ჯამი	**15 634 330,10 ₾**	**42 771 617,03 ₾**
ჯამი		**200 000 000 ₾**	

საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით გამოყოფილი თანხა მიემართა პროგრამის შემდეგი პრიორიტეტების ფარგლებში ღონისძიებების დასაფინანსებლად:

- „პრიორიტეტი 1 - ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე"-ის - ქვე-ღონისძიება 1.1. ა-რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია; ქვე-ღონისძიება; 1.1. ბ. რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარება; ქვე-ღონისძიება 1.2. ა. - აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება,
- „მე-2 პრიორიტეტი - უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა"- ქვე-ღონისძიება 2.1. ა. ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება; ქვე-ღონისძიება 2.1 ბ. ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა;
- „მე-3 პრიორიტეტი - მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა" ქვე-ღონისძიება 3.1 ა - ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა და ქვე-ღონისძიება 3.1 ბ - ადგილობრივი პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მხარდაჭერა და განვითარება;
- „მე-4 პრიორიტეტი - ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება"-ღონისძიება 4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა და ქვე-ღონისძიება 4.3. ა. სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება" ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების კონკურსი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოამზადა საკონკურსო პირობები. საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სამოქმედო გეგმის შესაბამისად, კონკურსის გამოცხადების შესახებ 2021 წლის 7 ივნისიდან 2022 წლის აგვისტოს ბოლომდე.

საპროექტო იდეებისა და წინადადებების შემუშავებისა და შერჩევის პროცესი

ვინაიდან პროგრამის განხორციელების დაწყებას თან დაემთხვა COVID-2019 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები, საპროექტო განაცხადების კონკურსი გამოცხადება გადაწყდა 2021 წლის 7 ივნისიდან და მუნიციპალიტეტებს მიეცათ საპროექტო წინადადებების წარდგენის შესაძლებლობა საპროექტო იდეების შემთხვევაში 2022 წლის 16 მაისამდე, ხოლო სრული განაცხადების შემთხვევაში 2022 წლის 31 აგვისტომდე.

საპროექტო იდეის წარდგენისა და შეფასების პროცესი

2022 წელს, კონკურსის ფარგლებში, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პრიორიტეტი 1, 2 და 4-ის

ფარგლებში, ოთხი საპილოტე რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ, ჯამში წარდგენილ იქნა 71 საპროექტო იდეის განაცხადი:

ფიგურა 2. შემოსული საპროექტო იდეების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, კახეთის ხუთმა მუნიციპალიტეტმა, 2022 წელს წარმოადგინა 14 საპროექტო იდეა: ახმეტამ -1; თელავმა -5; გურჯაანმა - 1; საგარეჯომ - 4; ლაგოდეხმა - 3.

იმერეთის 10-მა მუნიციპალიტეტმა კონკურსის ფარგლებში 2022 წელს ჯამში 41 (ქუთაისმა - 8, ბაღდათმა - 4, ვანმა - 1, ზესტაფონმა - 3, სამტრედიამ - 3, ტყიბულმა - 3, წყალტუბომ - 8, ჭიათურამ - 2, ხარაგაულმა - 3, ხონმა - 6) საპროექტო იდეა წარმოადგინა.

გურიის რეგიონის სამმა მუნიციპალიტეტმა კონკურსის ფარგლებში 2022 წელს წარმოადგინა 13 საპროექტო იდეა: ოზურგეთმა - 7, ლანჩხუთმა -3, ჩოხატაურმა - 3.

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს კი 2022 წელს წარედინა 3 საპროექტო იდეა: ამბორლაურის - 1, ცაგერის - 1 და ლენტეხის -1.

საპროექტო იდეების ადმინისტრაციული შეფასების დროს 1 პროექტი დახარვეზდა, თუმცა მუნიციპალიტეტის მიერ გონივრული ვადების ფარგლებში მოხდა ხარვეზის აღმოფხვრა და საპროექტო იდეა დაბრუნდა შეფასების პროცესში, შედეგად ყველა საპროექტო იდეამ გაიარა ადმინისტრაციული შეფასების პროცედურა.

შეფასების შემდეგ ეტაპზე საპროექტო იდეები დაექვემდებარნენ ტექნიკურ შეფასებას საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად. თითოეულ პროექტს მიენიჭა შესაბამისი ქულა. შემდეგ ეტაპზე გადავიდა მხოლოდ ის პროექტები, რომელთაც მიიღეს მაქსიმალური ქულის არანაკლებ 70%. ტექნიკური შეფასება ვერ გაიარა 11-მა (იმერეთის - 10 და კახეთის - 1) საპროექტო იდეამ.
ექსპერტების შეფასების შედეგად შემდგომ ეტაპზე სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებს შესარჩევად წარედგინათ ჯამში 60 საპროექტო იდეა:

ფიგურა 3. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ შერჩეული საპროექტო იდეების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წარდგენილი საპროექტო იდეებიდან შესაბამისი რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებმა შეარჩიეს ყველა - 60 საპროექტო იდეა.

ფიგურა 4. საპილოტე რეგიონების საპროექტო იდეებისა შერჩევა-შეფასება რეგიონების მიხედვით



სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებში სრიგპ-ის საპროექტო იდეების შერჩევა-შეფასების პროცესი წარიმართა გამჭვირვალედ და პროცედურების სრული დაცვით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

სრული საპროექტო განაცხადების წარდგენისა და შეფასების პროცესი

მე-2 ეტაპზე მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებში წარდგენილ იქნა 67 სრული საპროექტო განაცხადი:

ფიგურა 5. შემოსული საპროექტო წინადადებების რაოდენობა და წილი რეგიონების მიხედვით



კახეთის რეგიონისთვის გამოყოფილი სრიგპ-ის ბიუჯეტის ფარგლებში 2022 წელს კახეთის სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოში წარდგენილ იქნა 13 ახლად შერჩეული და 10 2021 წელს შერჩეული დასაფინანსებელი, ჯამში სულ 23 საპროექტო წინადადება (ახმეტის - 3; თელავის - 12; გურჯაანის - 1; საგარეჯოს - 1; სიღნაღის - 1; დედოფლისწყაროს - 1; ყვარელის - 2; ლაგოდეხის - 2). აღსანიშნავია, რომ კახეთის 2 პროექტი: PIRDP/4.2/KAKHETI/08 (საგარეჯოს) და PIRDP/4.3A/KAKHETI/31 (ახმეტის) მოწონებულია 2021 წელს და დაფინანსება მიღებულია 2022 წელს.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, იმერეთის 10-მა მუნიციპალიტეტმა, კონკურსის ფარგლებში, 2022 წელს სამხრეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ მოწონებული 31 საპროექტო იდეიდან წარმოადგინა ჯამში 28 სრული საპროექტო წინადადება (ქუთაისმა - 9, ბაღდათმა - 1, ზესტაფონმა - 1, თერჯოლამ - 2, სამტრედიამ - 4, საჩხერემ - 1, ტყიბულმა - 6, წყალტუბომ - 1, ჭიათურამ - 1, ხარაგაულმა - 2). აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საკონსულტაციო საბჭოს მიერ მოწონებული 43 პროექტიდან 2021 წელს დაფინანსდა 41 პროექტი, ხოლო 2022 წელს - 30 პროექტი, მათ შორის 2 პროექტი, რომელიც 2021 წელს იქნა სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ შერჩეული. რაც შეეხება 2022 წელს მოწონებულ 28 პროექტს, 28-ვე დაფინანსდა მიმდინარე წელს.

გურიის რეგიონში, კონკურსის მეორე ეტაპზე, 2022 წელს 9 საპროექტო წინადადების სრული განაცხადი იქნა წარმოდგენილი: ოზურგეთის - 5, ლანჩხუთის -1, ჩოხატაურის - 3. აღსანიშნავია, რომ მოწონებული 13 საპროექტო იდეიდან საბოლოო ეტაპზე არ შემოსულა ლანჩხუთის 2 პროექტი, აგრეთვე ოზურგეთის ორი პროექტი გაერთიანდა "ცენტრალური მოედნის და მიმდებარე პარკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტში.

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, გარდა 2022 წელს შერჩეული 3 საპროექტო იდეისა, ამავე წელს სრული საპროექტო განაცხადით და დოკუმენტაციით შემოვიდა რწმუნებულის ადმინისტრაციაში 2021 წელს იდეის დონეზე სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ შერჩეული 4 პროექტიც. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ 2022 წელს შერჩეული 7 პროექტიდან 7-ვე დაფინანსდა, აგრეთვე დაფინანსდა 2021 წელს შერჩეული 1 პროექტიც, რომელიც დასაფინანსებლად სამხარეო ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილ იქნა 2022 წელს.

საპროექტო წინადადებების ადმინისტრაციული შეფასების დროს ყველა საპროექტო წინადადებამ გაიარა ადმინისტრაციული შეფასების პროცედურა.

შეფასების შემდეგ ეტაპზე საპროექტო წინადადებები დაექვემდებარნენ ტექნიკურ შეფასებას საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად. თითოეულ პროექტს მიენიჭა შესაბამისი ქულა. შემდეგ ეტაპზე გადავიდა მხოლოდ ის პროექტები, რომელთაც მიიღეს მაქსიმალური ქულის არანაკლებ 70%. №200 დადგენილებით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად, ტექნიკური შეფასება გაიარა 67-ვე საპროექტო წინადადებამ.
ადმინისტრაციული და ტექნიკური შეფასების შედეგად, შემდეგ ეტაპზე გადასული 67 საპროექტო განაცხადიდან, საპილოტე რეგიონების საკონსულტაციო საბჭოებმა შესაბამის სხდომებზე შეარჩიეს 67 საპროექტო წინადადება. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს სულ დაფინანსდა 72 პროექტი, საიდანაც 5 პროექტი საპილოტე რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეულ იქნა 2021 წელს, ხოლო დასაფინანსებლად საპილოტე რეგიონების განვითარების სახელმწიფო კომისიას წარედგინა 2022 წელს.

ფიგურა 6. 2022 წელს საპილოტე რეგიონებში საპროექტო განაცხადების შერჩევა-შეფასება



სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებში სრიგპ-ის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების შეფასება - შერჩევის პროცესი წარიმართა გამჭვირვალედ, პროცედურების სრული დაცვით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მე-3 პრიორიტეტის „მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა“ შესაბამისად, კონკურსების გამოცხადებასა და პროექტების შერჩევას ახორციელებს სრიგპ-ის მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში შერჩეული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის მიმართულებით პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი სახელმწიფო სააგენტოები.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის საგრანტო კონკურსები გამოცხადდა ვებ-გვერდზე - www.enterprisegeorgia.gov.ge: ტექნიკური დახმარების კომპონენტისთვის - 2022 წლის მაისიდან; სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინასების კომპონენტი - 2022 წლის დასაწყისიდან გამოცხადებულია; მიკრო და მცირე გრანტების კომპონენტი - 2022 წლის მარტიდან.

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის საგრანტო კონკურსი გამოცხადდა სააგენტოს ვებგვერდზე - www.rda.gov.ge/programs: 2022 წლის პირველ თებერვალს და გაგრძელდება პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ამოწურვამდე.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ 2022 წლის 17 იანვარს გამოაცხადა კონკურსი ვებ-პორტალზე - www.grants.gov.ge. გრანტზე განაცხადის გაკეთება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური ან იურიდიული პირს, რომელიც რეგისტრირებულია ან/და საქმიანობს შემდეგ რეგიონებში: კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

პროგრამის განხორციელების ფიზიკური და ფინანსური პროგრესი

პრიორიტეტი 1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე

საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით სრიგპ-ის პრიორიტეტი 1-ის - „ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე“ ფარგლებში საპროექტო იდეების კონკურსი გამოცხადდა 2021 წლის 7 ივნისს ქვე-ღონისძიებების 1.1. ა. „რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია“ და 1.1 ბ. „რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარება“, აგრეთვე 1.2.ა. „აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება“ მიხედვით. კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა გააჩნია ოთხივე საპილოტე რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს საპროექტო იდეების შემთხვევაში - 2022 წლის

16 მაისამდე, ხოლო სრული საპროექტო განაცხადების შემთხვევაში - 2022 წლის 31 აგვისტომდე. კონკურსის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2379 განკარგულებით ოთხი საპილოტე რეგიონისთვის სრიგპ-ის პრიორიტეტი ერთის ფარგლებში 2022 წლისთვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 71 623 239 ლარი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებით რეგიონების მიხედვით გადანაწილდა ცხრილი 4-ს მიხედვით.

ცხრილი 4. პრიორიტეტი ერთის ფარგლებში 2022 წელს გამოყოფილი თანხა და განაწილება რეგიონულ ჭრილში

პრიორიტეტი	საპილოტე რეგიონი	თანხის ოდენობა 2022 წელი (ლარი)
1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე	იმერეთი	28 921 828 ₾
	კახეთი	27 710 245 ₾
	გურია	10 911 443 ₾
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4 079 721 ₾
	ჯამი	**71 623 239 ₾**

ჯამში ოთხი საპილოტე რეგიონის მიერ ქვე-ღონისძიებების 1.1 ა, 1.1 ბ და 1.2 ა ფარგლებში წარმოდგენილ იქნა 31 სრული საპროექტო განაცხადი, საიდანაც მხოლოდ იმერეთის რეგიონმა წარმოადგინა საპროექტო განაცხადები ქვე-ღონისძიება 1.2 ა-ს ფარგლებში. ტექნიკური შეფასების ეტაპი გაიარა ყველა საპროექტო განაცხადმა და ჯამში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოზე განსახილველად წარდგენილ იქნა 31 საპროექტო განაცხადი, საიდანაც 31-ვე იქნა შერჩეული.

საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2022 წელს საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულ იქნა 31 პროექტი, ხოლო 2021 წელს დაფინანსებულ 14 პროექტზე 2022 წლის ბიუჯეტიდანაც მიემართა 13,026,331 ლარი.

ცხრილი 5. წარმოდგენილი და შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა

კონკურსში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები	კახეთი	იმერეთი			გურია	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	სულ
	1.1.ბ	1.1. ა	1.1. ბ	1.2.ა	1.1.	1.1.ბ	
წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების რაოდენობა	12	3	6	5	4	1	31
ადმინისტრაციული შესაბამისობის შეფასების დონეზე დაწუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა	0	0	0	0	0	0	0
ტექნიკური შეფასების დონეზე დაწუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა	0	0	0	0	0	0	0
სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა	12	3	6	5	4	1	31

სახელმწოფო კომისიის მიერ მოწონებული და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა	12	3	6	5	4	1	31

ქვე-ღონისძიება 1.2.ა. „აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება "და რეგენერაციის გეგმები

საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიამ რეგენერაციის გეგმების შესამუშავებლად 24/05/2021 N3 სხდომაზე მოიწონა „რეგენერაციის გეგმის შედგენის სახელმძღვანელო". სახელმძღვანელოს მიხედვით ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ექსპერტების მხარდაჭერით შემუშავდა ქუთაისის, ტყიბულის და სამტრედიის რეგენერაციის გეგმები. აღნიშნული გეგმები სამთავრობო კომისიას მიეწოდა 2022 წლის იანვარში და მოწონებული იქნა კომისიის მე-11 სხდომაზე. შესაბამისად ზემოხსენებული გადაწყვეტილების ფარგლებში, სამტრედიის და ტყიბულის მუნიციპალიტეტების მიერ 2022 წელს მიღებულ იქნა 5 პროექტის დაფინანსება ქვე-ღონისძიება 1.2 ა-ს ფარგლებში.

პრიორიტეტი 1-ს ქვე-ღონისძიებების 1.1. ა. „რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია", 1.1 ბ. „რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარება" და 1.2. ა. „აუთვისებელ და ყოფილ სამრეწველო ურბანულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება" ფარგლებში სრიგპ-ით გათვალისწინებულია 19 მილიონი ევროს (54,163,300 ლარი)[6] ღირებულების პროექტების დაფინანსება. შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2379 განკარგულებით პროგრამის ფარგლებში პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა 32%-ით აღემატება სრიგპ-ის ბიუჯეტით (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება N628) პრიორიტეტი 1-თვის გათვალისწინებულ თანხას.

ცხრილი 6. პროექტების და ფინანსების მოცულობა პრიორიტეტი 1-ს შესაბამისად

პრიორიტეტი	**რეგიონი**	**ათვისებული თანხა 2022**	**N2379 განკარგულებით გამოყოფილი თანხის შესრულების მაჩვენებელი 2022**
1. ურბანული განახლება - ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე	იმერეთი	26,531,387 ₾	92%
	კახეთი	25,166,319 ₾	91%
	გურია	9,477,782 ₾	87%
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4,077,450 ₾	100%
	ჯამი	65,252,938 ₾	91%

[6] ეროვნული ბანკის 18/08/2022 კურსით 1 ევრო 2.8507 ლარია

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის საპილოტე რეგიონის 2022 წელს პრიორიტეტი 1-თვის გამოყოფილი თანხის 100%-ია ათვისებული 2022 წელს.

კონკურსის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2379 განკარგულებით 2022 წელს გამოყოფილი 71 623 239,07 ლარიდან ათვისებულ იქნა ჯამში 65,252,938 ლარი რაც 2022 წელს დაგეგმილი ასათვისებელი თანხის 91% შეადგენს.

ჯამში 2022 წელს პრიორიტეტი 1-ს ფარგლებში დაფინანსდა 31 პროექტი რომლისთვისაც პროგრამის ფარგლებში 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 53,176,387 ლარი, ხოლო 2022 წლის ბიუჯეტიდან 12,076,551 ლარი მიემართა 2021 წელს დაფინანსებულ პროექტებზე.

როგორც ქვემოთ ცხრილ 7-შია ნაჩვენები სრიგპ-ის ინდიკატორი ქვე-ღონისძიება 1.1.ა. რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაციის ინდიკატორი „აშენებული/მოდერნიზებული სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა, რომლებიც ცენტრალურ ფუნქციებს მოემსახურება“ 750% გადაჭარბებით არის შესრულებული. თუმცა ამავე ქვე-ღონისძიების 2 ინდიკატორის შესრულება 0%-ს შეადგენს. დისბალანსი სრიგპ-ის ინდიკატორების სამიზნეების მიღწევის ნაწილში გამოწვეულია სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ პროექტების შემუშავების და შერჩევის დეცენტრალიზებული მიდგომით და აქცენტი არ კეთდება კონკრეტული ინდიკატორის სამიზნის მიღწევაზე.

ცხრილი 7. ღონისძიება 1.1-ის ფარგლებში მყისიერი შედეგების სამიზნეები

ქვე-ღონისძიება	სრიგპ-ს მყისიერი ინდიკატორები		სამიზნე მაჩვენებელი 2020-2022	შედეგი 2021	შესრულების %
1.1. ა. რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია	მხარდაჭერილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები		n/a	109	n/a
	შეძენილი ავტობუსები (მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარე)		n/a	10	n/a
1.1.ბ. რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარება	აშენებული / მოდერნიზებული სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა, რომლებიც ცენტრალურ ფუნქციებს მოემსახურება:	თეატრები		1	
		საკონცერტო დარბაზები	n/a	1	n/a
		სხვა		28	
		სულ	4	30	750
	მოდერნიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებები:	სკოლები		0	
		სულ	2	0	0
	შექმნილი მრავალფუნქციური აქტივობის ცენტრები		2	1	50

პრიორიტეტი 2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით სრიგპ-ის პრიორიტეტი 2 "უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა"-ის ფარგლებში კონკურსი გამოცხადდა 2021 წლის 7 ივნისს ქვე-ღონისძიებების 2.1. ა. „ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება" და 2.1 ბ. „ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა" მიხედვით. კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა გააჩნია ოთხივე საპილოტე რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს და კონკურსის ფარგლებში სრული საპროექტო განაცხადების მიღება გრძელდებოდა 2022 წლის 31 აგვისტომდე. კონკურსის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2379 განკარგულებით ოთხი საპილოტე რეგიონისთვის სრიგპ-ის პრიორიტეტი ორის ფარგლებში 2022 წლისთვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა - 19 045 027,90 ლარი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებით რეგიონების მიხედვით გადანაწილდა ცხრილი 8-ს მიხედვით.

ცხრილი 8. პრიორიტეტი 2-ის ფარგლებში 2022 წელს გამოყოფილი თანხა საპილოტე რეგიონების მიხედვით.

პრიორიტეტი	საპილოტე რეგიონი	თანხის ოდენობა 2022 წელი (ლარი)
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	იმერეთი	8 465 386 ₾
	კახეთი	7 316 869 ₾
	გურია	2 347 352 ₾
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	915 419 ₾
	ჯამი	**19 045 027 ₾**

ჯამში ოთხი საპილოტე რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ პრიორიტეტი ორის ფარგლებში შესაბამის სამხარეო ადმინისტრაციაში წარდგენილ იქნა 13 საპროექტო განაცხადი. ადმინისტრაციული და ტექნიკური შეფასებაც გაიარა ყველა საპროექტო განაცხადმა. სახელმწოფო კომისიის მიერ მოსაწონებლად საპილოტე რეგიონების სამხარეო ადმინისტრაციების მიერ წარდგენილ იქნა 16 საპროექტო განაცხადი, საიდანაც 2 იმერეთის და 1 კახეთის საპილოტე რეგიონის საპროექტო განაცხადი აღნიშნული რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეულ იქნა 2021 წელს, ხოლო საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N200 დადგენილებასთან შესაბამისობის დასადგენად და საქართველოს მთავრობის მიერ დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა 2022 წელს. ყველა - 16-ვე სრული საპროექტო განაცხადი დაფინანსებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. აღსანიშნავია, რომ ქვე-ღონისძიება 2.1 ბ-ს „ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა" ფარგლებში 2021 წელს დაფინანსდა მხოლოდ 1 პროექტი, აგრეთვე ანალოგიურად 2022 წელსაც. ეს შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე რეაბილიტაციის სამუშაოების განსახორციელებლად დამატებითი ნებართვების და მუნიციპალიტეტების

მხრიდან უფრო მეტი ძალისხმევის საჭიროებაზე, რაც აგრეთვე მოითხოვს პროექტის შესამუშავებლად უფრო მეტ დროსა და რესურსს.

ცხრილი 9. წარმოდგენილი და შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა

კონკურსში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები	**კახეთი**	**იმერეთი**		**გურია**	**რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი**		**სულ**
	2.1.ა	**2.1 ა**	**2.1 ბ**	**2.1.**	**2.1.ა**	**2.1.ბ**	
წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების რაოდენობა	2	6	0	2	2	1	13
ადმინისტრაციული შესაბამისობის შეფასების დონეზე დაწუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა	0	0	0	0	0	0	0
ტექნიკური შეფასების დონეზე დაწუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა	0	0	0	0	0	0	0
სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა	2	6	0	2	2	1	13
სახელმწოფო კომისიის მიერ მოწონებული და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა	3	8	0	2	2	1	16

პრიორიტეტი 2-ის ქვე-ღონისძიებების 2.1. ა. „ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება" და 2.1 ბ. „ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა" ფარგლებში სრიგპ-ით გათვალისწინებულია 6 მილიონი ევროს (17,104,200 ლარი)[7] ღირებულების პროექტების დაფინანსება, შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2379 განკარგულებით პროგრამის ფარგლებში პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა 34%-ით აღემატება სრიგპ-ის ბიუჯეტით (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება N628) პრიორიტეტი 2-თვის გათვალისწინებულ თანხას.

გამოცხადებული კონკურსის შესაბამისად 2022 წელს სრიგპ-ის ფარგლებში პროექტების დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2379 განკარგულებით გამოყოფილი 19,045,027 ლარიდან საანგარიშო პერიოდში ათვისებულ იქნა ჯამში 17,744,120 ლარი, რაც 2022 წელს გამოყოფილი თანხის 93% შეადგენს. მეორე პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ათვისების კუთხით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კახეთის რეგიონს გააჩნია - 95%, ხოლო ყველაზე დაბალი გურიის რეგიონს - 88%.

ცხრილი 10. პროექტებისა და ფინანსებიც მოცულობა მე-2 პრიორიტეტის შესაბამისად

პრიორიტეტი	**რეგიონი**	**პროექტების რაოდენობა 2022**	**ათვისებული თანხა 2022**	**შესრულების მაჩვენებელი 2022**
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის	იმერეთი	8	7,886,736	93%
	კახეთი	3	6,928,420	95%
	გურია	2	2,064,510	88%

[7] ეროვნული ბანკის 18/08/2022 კურსით 1 ევრო 2.8507 ლარია.

განვითარების ხელშეწყობა	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3	864,454	94%
	ჯამი	16	17,744,120	93%

როგორც ქვემოთ ცხრილი 11-შია აღნიშნული ღონისძიება 2.1 ა-ს ფარგლებში არსებული სამიზნე მაჩვენებლები ამჟამად გადაჭარბებითაა მიღწეული, მათ შორის ინდიკატორი "მცირე ზომის მხარდაჭერილი თანმხლები ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა" სამიზნე მაჩვენებელი - 50%-ით. თუმცა ქვე-ღონისძიება 2.1 ბ-ს ინდიკატორის სამიზნის შესრულება ჩამორჩება მნიშვნელოვნად, გამომდინარე იქიდან, რომ ქვე-ღონისძიება 2.1 ბ-ს ფარგლებში 2021 წელს დაფინანსდა მხოლოდ 1 პროექტი, აგრეთვე ანალოგიურად 2022 წელსაც მხოლოდ 1 პროექტი იქნა დაფინანსებული. სწორედ სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ პროექტების შემუშავების და შერჩევის დეცენტრალიზებული მიდგომა იწვევს სრიგპ-ის ინდიკატორების სამიზნეების მიღწევის ნაწილში ასეთ დისბალანსს.

ცხრილი 11. ღონისძიება 2.1-ის ფარგლებში მყისიერი შედეგების სამიზნეები

ქვე-ღონისძიება	მყისიერი შედეგების ინდიკატორი	სამიზნე მაჩვენებელი 2020-2022	შედეგი 2021	შესრულების %
2.1 ა–ტურისტებისთვის ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება	მცირე ზომის მხარდაჭერილი თანმხლები ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა	16	24	150
	მოწყობილი ადგილობრივი პროდუქტებისა და ხელნაკეთების გასაყიდი ადგილების რაოდენობა	8	8	100
2.1 ბ – კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა	განახლებული კულტურული ძეგლების / ტერიტორიების რაოდენობა	8	1	12.5

პრიორიტეტი 3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა

2021 წლის 4 ივნისს საქართველოს მთავრობის №920 განკარგულებით 40.8 მილიონი ლარი გამოიყო სრიგპ-ის პრიორიტეტი 3-ს - „კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციების მხარდაჭერა" განსახორციელებლად. საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიამ 2021 წლის 2 აგვისტოს გამოაცხადა მოწვევა სახელმწიფო სააგენტოების საკონკურსო განაცხადის შერჩევაში მონაწილეობაზე. პროგრამული წინადადებების კონკურსის ფარგლებში სამმა სახელმწიფო სააგენტომ (ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო, სსიპ „აწარმოე საქართველოში" და სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ) წარადგინა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის პროგრამები. საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიამ შეაფასა აღნიშნული პროგრამები და დაუბრუნა სააგენტოებს საკონკურსო წინადადებების

პირობების არასრული დაკმაყოფილების გამო. შესაბამისი კორექტირებისა და ადაპტაციის შემდეგ, სამთავრობო კომისიის მიერ პროგრამები მოწონებულ იქნა 2021 წლის სექტემბერში და სააგენტოებმა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2379 განკარგულების თანახმად მიიღეს 39,63 მილიონი ლარი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერისთვის 2021 და 2022 წლებში რაც სრიგპ-ის ფარგლებში პრიორიტეტი 3-ისთვის გამოყოფილი თანხის 10 მლნ. ევროს (28.507 მლნ ლარი)[8] 139% შეადგენს.

სააგენტოების პროგრამები ითვალისწინებს საპილოტე რეგიონებში ახალი საწარმოების შექმნის და არსებული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაცია-გაფართოებას დაფინანსებას, კერძოდ:

ქვე-ღონისძიება 3.1. ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობის მიმართულებით:

- მანქანები-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა;
- შენობა/ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მხარდაჭერა;
- პროექტის (წარმოებისა და შენახვის საშუალებები) ფარგლებში შეძენილი დანადგარებისა და აღჭურვილობის დამონტაჟებასთან დაკავშირებული სამუშაოების მხარდაჭერა;

აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებს **ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო** პროექტებისთვის გათვალისწინებული ჯამური ბიუჯეტით 20 მილიონი ლარი.

ფიგურა 7. ფინანსური რესურსების რეგიონული განაწილება.



სააგენტოს პროგრამა ადგილობრივ მეწარმეებს ან ფიზიკურ პირებს ახალი საწარმოების შექმნის, ასევე არსებული საწარმოების გაფართოება ან/და გადაიარაღების საშუალებას აძლევს.

[8] გამოთვლილია ეროვნული ბანკის 18/08/2022 კურსით 1 ევრო 2.8507 ლარი.

პროგრამის ამოცანაა ქვეყანაში სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, მიზნობრივ რეგიონებში პროექტების დაფინანსების გზით და აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

პროგრამის ფარგლებში გრანტის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირების (რომლებიც ოპერირებენ და რეგისტრირებულები არიან ოთხ საპილოტე რეგიონ(ებ)ში) მიერ წარდგენილი პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 300 ათასი ლარისა და არაუმეტეს 1 მილიონი ლარისა. სააგენტოს დაფინანსების მოცულობა შეადგენს პროექტის ჯამური ღირებულების 60%, მაგრამ არაუმეტეს 600 ათასი ლარისა.

პროგრამის ფარგლებში საგრანტო კონკურსი გამოცხადდა სააგენტოს ვებგვერდზე 2022 წლის პირველ თებერვალს და გაგრძელდება პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ამოწურვამდე.

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ ჯამში დაფინანსებულ იქნა 43 მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმო, საიდანაც 31 საწარმო წარმოადგენს სურსათის გადამამუშავებელი ტიპისაა, ხოლო 12 - ინდუსტრიული ტიპის. დაფინანსებული 43 პროექტიდან მცირე აღჭურვილობის შესყიდვის კუთხით დაფინანსებულია 14 მიკრო და მცირე საწარმო. ჯამში სააგენტოს მიერ გაცემულ იქნა 17,569,004 ლარის ღირებულების გრანტები, რაც სააგენტოსთვის სრიგპ-ის ფარგლებში გამოყოფილი ბიუჯეტის 88% შეადგენს.

ფიგურა 8. გამოყოფილი და გაცემული გრანტების შედარება



ფიგურა 9. დაფინანსებული პროექტების რეგიონული განაწილება



სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ სრიგპ-ის შესაბამისად პროგრამა წარმოადგინა **ქვე-ღონისძიების 3.1.ა. „ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა“** და **ქვე-ღონისძიების 3.1.ბ. „ადგილობრივი პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მხარდაჭერა და განვითარება“** ფარგლებში. წარმოდგენილი პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. **ტექნიკური დახმარების კომპონენტი;**
   - პროდუქტის ლიცენზირება/სერტიფიცირება საერთაშორისო სტანდარტებით;
   - ბრენდინგი/პროდუქციის შეფუთვა;
   - საერთაშორისო გაყიდვების სტიმულირება - საერთაშორისო სავაჭრო ქსელში შესვლის ხელშეწყობა.

2. **სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინანსების კომპონენტი** (მოიცავს 312 მიზნობრივ ეკონომიკურ საქმიანობას);

3. **მიკრო და მცირე გრანტების კომპონენტი ბიზნესის წამოწყებისათვის ან/და არსებულის გადაიარაღებისათვის** (300-ზე მეტი ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით).

ცხრილი 12. პროგრამის კომპონენტების მიხედვით ბიუჯეტის განაწილება

აქტივობის დასახელება	რეგიონი	2022
ტექნიკური დახმარების კომპონენტი	იმერეთი	43,760
	კახეთი	35,630
	გურია	14,030
	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6,580
	ჯამი	**100,000**
	იმერეთი	3,938,400

სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინასების კომპონენტი	კახეთი	3,206,700
	გურია	1,262,700
	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	592,200
	ჯამი	**9,000,000**
მიკრო და მცირე გრანტების კომპონენტი	იმერეთი	3,106,960
	კახეთი	2,529,730
	გურია	996,130
	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	467,180
	ჯამი	**7,100,000**
სულ ჯამი		**16 200 000**

ჯამში პროგრამის განსახორციელებლად 2022 წლისთვის გათვალისწინებულია 16.2 მლნ ლარი. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის საგრანტო კონკურსები გამოცხადდა: ტექნიკური დახმარების კომპონენტისთვის - 2022 წლის მაისიდან; სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინასების კომპონენტისთვის - 2022 წლის დასაწყისიდან; მიკრო და მცირე გრანტების კომპონენტისთვის - 2022 წლის მარტიდან.

მიკრო და მცირე გრანტების კომპონენტი

2022 წლის 21 მარტს კონკურსი გამოცხადდა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 6236 საგრანტო განაცხადი საპილოტე რეგიონებიდან: იმერეთი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი და გურია. კონკურსის ფარგლებში საპილოტე რეგიონებში კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 281 ბენეფიციარი. აღნიშნულ ბენეფიციარებზე გაცემულმა გრანტის მოცულობამ 7.1 მლნ ლარი შეადგინა.

ცხრილი 13. შემოსული განაცხადების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	მიღებული ბიზნეს იდეები	დატრენინგებული	გაფორმებული ხელშეკრულებები	დაფინანსებული ბენეფიციარები	საგრანტო თანხა
იმერეთი	1991	475	149	126	3,080,055.16
კახეთი	1843	462	130	97	556,835.00
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1500	389	114	21	2,497,924.44
გურია	902	217	61	37	964,170.25
სულ	**6236**	**1543**	**454**	**281**	**7,098,984.85**

ცხრილი 14. დაფინანსებული განაცხადების რაოდენობა და მოცულობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	გრანტის მოცულობა
იმერეთი	126	3,080,055.16
გურია	37	964,170.25
კახეთი	97	2,497,924.44
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	21	556,835.00
ჯამი	**281**	**7,098,984.85**

სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინანსების კომპონენტი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილების, უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, საპილოტე რეგიონებში ჯამში, სააგენტოს მხრიდან დადასტურებულია 46 სესხის/ლიზინგის განაცხადი. გადამამუშავებელ საწარმოებზე (17 განაცხადი) გრანტის და სესხის/ლიზინგის პროცენტის სუბსიდირების სახით გამოყოფილია 2,099,748.38 ლარი, ხოლო მომსახურების სფეროს სხვადასხვა საქმიანობებზე, ჯამში 29 დადასტურებულ განაცხადზე გრანტის და სესხის/ლიზინგის პროცენტის სუბსიდირების სახით გამოყოფილია 6,892,588.62 ლარი. ჯამში 46 მცირე და საშუალო ზომის კომპანიებზე კომერციული ბანკების მიერ სააგენტოს პროგრამის სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინასების კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხებიდან, რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს - 20,713,000 ლარს, 20,394,500 ლარი მიმართულია/მიიმართება ძირითადი/კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებისთვის.

ფიგურა 10. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა, ფინანსური მოცულობა და რეგიონული განაწილება.



ტექნიკური დახმარების კომპონენტი

ექსპორტის სტიმულირების პროგრამა გამოცხადდა 2022 წლის 7 აპრილს, რომლის ფარგლებში ტექნიკური დახმარების კომპონენტი ვრცელდება შემდეგ სამ მიმართულებაზე: პროდუქტის ლიცენზირება/სერტიფიცირება; ბრენდინგი/პროდუქციის შეფუთვა; საერთაშორისო გაყიდვების სტიმულირება/საერთაშორისო სავაჭრო ქსელში შესვლა. საპილოტე რეგიონებიდან ჯამში შემოსულია 2 განაცხადი, რომლებმაც მიიღო დაფინანსება ბრენდინგის, საერთაშორისო ქსელში შესვლაში და სერტიფიცირების დანერგვაში.

ცხრილი 15. კომპონენტის ფარგლებში შემოსული განაცხადების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

პროგრამის კომპონენტის დასახელება	ბრენდინგი				სერტიფიცირება		საერთ. ქსელში შესვლა	
საპილოტე რეგიონი	გამარჯვებული განაცხადი	დაფინანსების მოცულობა - ₾	განხილვის პროცესში	გამარჯვების შემთხვევაში დაფინანსების მოცულობა - ₾	გამარჯვებული განაცხადი	დაფინანსების მოცულობა - ₾	გამარჯვებული განაცხადი	დაფინანსების მოცულობა - ₾
იმერეთი	1	17,010	-	-	-	-	-	-
კახეთი	-	-	-	-	-	-	-	-
გურია	-	-	-	-	-	-	1	28,320
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-	-	-	-	-	-	-	-

ჯამში „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს პროგრამით და მისი კომპონენტების ფარგლებში დაფინანსდა 329 პროექტი, რისთვისაც გამოიყო 16,136,651.85 ლარი, რაც სააგენტოსთვის სრიგპ-ის ფარგლებში გამოყოფილი ბიუჯეტის თითქმის 100% შეადგენს.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ სრიგპ-ის ფარგლებში პროგრამული განაცხადი წარმოადგინა ღონისძიება **3.2 ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების მხარდაჭერის** მიმართულებით. სააგენტოს მიერ იგეგმება პროექტების დაფინანსება შემდეგი მიმართულებებით:

- მცირე გრანტების პროექტები - ინოვაციების დანერგვა, ტესტირება ან გაუმჯობესება შემდგომი კომერციალიზაციის (და სხვა) მიზნით;
- ინოვაციების საგრანტო პროექტები - ინოვაციური ან/და მაღალტექნოლოგიური ელემენტის შემცველი და კომერციალიზაციის მაღალი პოტენციალის მქონე ბიზნეს პროექტების დაფინანსება და სხვა;
- შესაძლებლობების განვითარება რეგიონული სტარტაპ ეკოსისტემისთვის - STEAM და ICT მიმართულების პროექტები;
- პრე-აქსელერაციის და სტარტაპების შექმნა/ხელშეწყობის პროექტები.

ცხრილი 16. პროგრამის ბიუჯეტის რეგიონული განაწილება

რეგიონი	ინდიკატური განაწილება (₾)	ინდიკატური განაწილება (%)
იმერეთი	1,369,688	43.76%
კახეთი	1,115,219	35.63%
გურია	439,139	14.03%

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	205,954	6.58%
ჯამი	3,130,000	100%

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ 2022 წლის 17 იანვარს გამოაცხადა კონკურსი ვებგვერდზე - www.grants.gov.ge. გრანტზე განაცხადის გაკეთება ნებადართულია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის, რომელიც რეგისტრირებულია ან/და საქმიანობს შემდეგ საპილოტე რეგიონებში: კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

საანგარიშო პერიოდში ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიცირებით და ორგანიზებით, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 2022 წელს გამოცხადდა განაცხადების მიღება შემდეგი მიმართულებით:

- მცირე გრანტები საპილოტე რეგიონებისთვის (30 000 ლარი);
- ინოვაციური მეწარმეობის გრანტები საპილოტე რეგიონებისთვის (100 000 ლარი).

პირველ რაუნდზე ოთხი საპილოტე რეგიონიდან შემოვიდა 175 განაცხადი, საიდანაც დაფინანსდა 25 პროექტი; მეორე რაუნდზე შემოვიდა 141 განაცხადი და გამოვლინდა 23 გამარჯვებული პროექტი.

ფიგურა 11. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა, ფინანსური მოცულობა და რეგიონული განაწილება



ამასთან, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივითა და მხარდაჭერით და საქართველოს წამყვანი აქსელერატორების ორგანიზებით წარმატებით განხორციელდა სტარტაპების პრეაქსელერაციის პროგრამა. პროგრამის ფარგლებში 150-მდე ბენეფიციარი გადამზადდა სხვადასხვა მიმართულებით, შეიქმნა 36 სტარტაპ გუნდი, რომელთაგან 31-მა შეიტანა განაცხადი რეგიონულ საგრანტო პროგრამაში.

ჯამში სააგენტოს მიერ დაფინანსებულ იქნა 2,579,554 ლარის ღირებულების 48 პროექტი, საიდანაც 13 სურსათის გადამამუშავებელი, 6 კი ინდუსტრიული საწარმოა. 11 საწარმოს დაუფინანსდა აღჭურვილობის შესყიდვის ხარჯები, რაც სრიგპ-ის ფარგლებში

სააგენტოსთვის გამოყოფილი 3.43 მილიონი ლარის (საიდანაც 300 ათასი ლარი ადმინისტრაციული ხარჯს შეადგენს) 84% შეადგენს.

პრიორიტეტი 4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება

საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით სრიგპ-ის პრიორიტეტი 4 „ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“-ის ფარგლებში კონკურსი გამოცხადდა 2021 წლის 7 ივნისს ღონისძიება 4.2 „ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა“ და ქვე-ღონისძიება 4.3. ა. სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა გააჩნია ოთხივე საპილოტე რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს. კონკურსის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2379 განკარგულებით გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 2022 წ. – 42 771 647 ლარი, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებით რეგიონების მიხედვით გადანაწილდა ცხრილი 16-ს მიხედვით.

ცხრილი 17. პრიორიტეტი 4-ის ფარგლებში 2022 წელს გამოყოფილი თანხა

პრიორიტეტი	საპილოტე რეგიონი	თანხის ოდენობა 2022 წელი (ლარი)
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება	იმერეთი	17 941 345 ₾
	კახეთი	15 463 170 ₾
	გურია	6 206 542 ₾
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3 160 588 ₾
	ჯამი	**42 771 647 ₾**

ჯამში ოთხი საპილოტე რეგიონის მიერ პრიორიტეტი ოთხის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა 23 საპროექტო განაცხადი, ადმინისტრაციული და ტექნიკური შეფასების ეტაპები გაიარა ყველა პროექტმა და ჯამში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოზე განსახილველად წარდგენილ იქნა 23 საპროექტო განაცხადი, საიდანაც 23-ვე განაცხადი იქნა შერჩეული. საანგარიშო პერიოდში საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ დაფინანსებულ იქნა 25 პროექტი, მათ შორის კახეთის და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის საპილოტე რეგიონის 2 პროექტი არის 2021 წელს შერჩეული და ამ რეგიონების სამხარეო ადმინისტრაციების მიერ საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ შესაბამისობის შესამოწმებლად და საქართველოს მთავრობის მიერ დასაფინანსებლად წარდგენილია 2022 წელს.

ცხრილი 18. წარმოდგენილი და შერჩეული საპროექტო განაცხადების რაოდენობა

კონკურსში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები	კახეთი		იმერეთი		გურია	რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	სულ
	4.2.	4.3.ა	4.2	4.3 ა	4.2.	4.2.	
წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების რაოდენობა	7	2	6	2	3	3	23

ადმინისტრაციული შესაბამისობის შეფასების დონეზე დაწუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა	0	0	0	0	0	0	0
ტექნიკური შეფასების დონეზე დაწუნებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა	0	0	0	0	0	0	0
სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ მოწონებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა	7	2	6	2	3	3	23
სახელმწოფო კომისიის მიერ მოწონებული და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული საპროექტო განაცხადების რაოდენობა	7	3	6	2	3	4	25

პრიორიტეტი 4-სთვის „ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“ მათ შორის ღონისძიება 4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა” და ქვე-ღონისძიება 4.3 ა. „სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ ფარგლებში სრიგპ-ით გათვალისწინებულია 15.5 მილიონი ევროს (44,185,850 ლარი)[9] ღირებულების პროექტების დაფინანსება, შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2379 განკარგულებით პროგრამის ფარგლებში პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა (42 771 647 ლარი) 35%-ით აღემატება სრიგპ-ის ბიუჯეტით (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება N628) ჯამში მთლიანად პრიორიტეტი 4-თვის გათვალისწინებულ თანხას. 2022 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2379 განკარგულებით გამოყოფილი თანხის 95% იქნა ათვისებული და 40,426,968 ლარი შეადგინა.

ცხრილი 19. მე-4 პრიორიტეტისთვის გამოყოფილი თანხის მოცულობა და პროექტების რაოდენობა რეგიონების შესაბამისად

პრიორიტეტი	**რეგიონი**	**დაფინანსებული პროექტების რაოდენობა 2022**	**2022 წლისთვისN2379 განკარგულებით გამოყოფილი თანხ**	**ათვისებული თანხა 2022**	**შესრულების მაჩვენებელი 2022**
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება	იმერეთი	8	17,941,345	17,787,534	99%
	კახეთი	10	15,463,171	13,701,901	89%
	გურია	3	6,206,543	5,937,170	96%
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4	3,160,558	3,000,363	95%
	ჯამი	**25**	**42,771,617**	**40,426,968**	**95%**

კონკურსის ფარგლებში 2022 წელს გათვალისწინებული 42 771 617 ლარიდან ათვისებულ იქნა ჯამში 40,426,968ლარი, რაც 2022 წელს გათვალისწინებული თანხის 95%.

[9] ეროვნული ბანკის 18/08/2022 კურსით 1 ევრო 2.8507 ლარია.

ათვისების მაჩვენებლით 99% გამოირჩევა იმერეთის საპილოტე რეგიონი.

ცხრილი 20. ღონისძიება 4.2.-ის და ქვე-ღონისძიება 4.3. ა-ს მყისიერი შედეგების სამიზნეები

(ქვე-)ღონისძიება	მყისიერი შედეგების ინდიკატორი	სამიზნე მაჩვენებელი 2020-2022	შედეგი 2022	შესრულების %
4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა	მხარდაჭერილი სოფლები და დასახლებები	12	59	492
	ადგილობრივი გზები და თანმხლები ინფრასტრუქტურა (კმ)	n/a	9,43	n/a
	მხარდაჭერილი მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები;	36	59	164
4.3 ა – სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	მხარდაჭერილი დასახლებები	12	13	108
	მხარდაჭერილი სოციალური ინფრასტრუქტურული ობიექტები	18	5	28
	პროექტები საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, მოსახლეობისთვის მუნიციპალური მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით	6	2	33
	მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომელთაც ციფრული ადგილობრივი მონაცემთა ბაზა გააჩნიათ	6	0	0

პრიორიტეტის ფარგლებში მყისიერი შედეგების სამიზნეების მიღწევის მაჩვენებელი განსხვავდება ინდიკატორების მიხედვით. მაგალითად ინდიკატორის „მხარდაჭერილი სოფლები და დასახლებები“ სამიზნე გადაჭარბებითაა მიღწეული - 492%, ხოლო ინდიკატორის „მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომელთაც ციფრული ადგილობრივი მონაცემთა ბაზა გააჩნიათ“ სამიზნეს შესრულება 0%. აღნიშნული გარემოება პროგრამის განხორციელების დეცენტრალიზებული მიდგომიდან გამომდინარეობს, მუნიციპალიტეტები წარმოადგენენ ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებულ პროექტებს, ხოლო სრიგპ-ის წარმოადგენს მხოლოდ ფართო ჩარჩოს რის მიხედვითაც მათ უნდა იხელმძღვანელონ.

პრიორიტეტი 5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება

პრიორიტეტი 5-ის ფარგლებში ჯამში სრიგპ-ის ფარგლებში გათვალისწინებულია 4.75 მილიონი ევროს მოცულობის ბიუჯეტი. ეს თანხა მთლიანად წარმოადგენს ევროკავშირის ტექნიკურ და ექსპერტულ დახმარებას, რომელსაც ევროკავშირი მართავს.

ამ ეტაპისთვის ფინანსური შეთანხმების ფარგლებში გათვალისწინებული ტექნიკური პროექტი არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა 2021 წლის ოქტომბრამდე მე-5 პრიორიტეტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში სამინისტროს ეხმარებოდა ევროკავშირის პროექტის „ადგილობრივი თვითმმართველობების როლის გაზრდა

მრავალდონიანი ტერიტორიულ მმართველობაში“ ტექნიკური დახმარების ექსპერტები. აღნიშნული პროექტი 2021 წლის ოქტომბერში დასრულდა. ამჟამად ევროკავშირის მიერ დაწყებულია ახალი ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის შემუშავების პროცედურები.

EU4ITD ფინანსური შეთანხმების შესაბამისად გათვალისწინებული დელეგირებული თანამშრომლობის მხარდაჭერის ფარგლებში მიღწეული პროგრესი

სრიგპ-ის ინტეგრირებული განვითარების მიდგომიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელებაში კონცენტრირებულია სხვადასხვა აქტორების ძალისხმევა, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების და განსაკუთრებით ევროკავშირის. ამ მიმართულებით სრიგპ ადგენს ჩარჩოს შემდეგი (ქვე)ღონისძიებების საშუალებით, როგორიცაა:

- ქვე-ღონისძიება 1.2.ბ. - შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი უნარების განვითარება და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობა;
- ღონისძიება 2.2. - ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება;
- ღონისძიება 4.1 - ადგილობრივი ტრადიციული ხელნაკეთობებისა და პროდუქციის შენარჩუნებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა;
- ქვე-ღონისძიება 4.3. ბ. - საინფორმაციო ტექნოლოგიების, ელექტრონული და სხვა სერვისების დანერგვის მხარდაჭერა.

ფინანსური შეთანხმების ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პროექტების განსახორციელებლად ჯამში გათვალისწინებულია 8.5 მილიონი ევრო. ამისთვის 2021 წლის დასაწყისში აღნიშნული ფინანსური რესურსების ფარგლებში ევროკავშირმა პროგრამების წარმოსადგენად მოიწვია საერთაშორისო ორგანიზაციები. შედეგად 2021 წელს შერჩეულ იქნა 2 საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ (7.5 მილიონი ევრო, საიდანაც 1 მილიონი ევრო GIZ კონტრიბუციაა) და UNDP (2 მილიონი ევრო).

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება **პროგრამა - დეცენტრალიზებული, ეფექტური და ინკლუზიური მმართველობის განვითარება საქართველოში.** აღნიშნული პროგრამის შესაბამისი მიმართულებებით 2022 წელს განხორციელებული ღონისძიებების მიხედვით პროგრესი შემდეგნაირად გამოიყურება:

შედეგი 1: ინკლუზიური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება ეროვნულ და რეგიონულ/ადგილობრივ დონეზე:

აქტივობა 1.1. პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობების განვითარება

2022 წელს დაგეგმილი ღონისძიებები:

- რეგიონული განზომილების და მახასიათებლების ინტეგრირება სექტორულ პოლიტიკაში;
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამხარეო ადმინისტრაციების და მუნიციპალიტეტების საჯარო მოსამსახურეების პოლიტიკის დაგეგმვის შესაძლებლობების გაძლიერება;

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება.

2022 წლისთვის დაგეგმილი ღონისძიებების პროგრესი

დაქირავებულ იქნა პოლონელი ექსპერტი, რომელიც შეიმუშავებს ახალი რეგიონული/ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების კონცეფციის/სტრატეგიული მიდგომის მონახაზს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის.

გარდა ამისა, პროექტი ადგილობრივი ექსპერტის აყვანის პროცესშია, რომელიც შეიმუშავებს სახელმძღვანელო დოკუმენტს ტერიტორიული მახასიათებლების დარგობრივ პოლიტიკაში ინტეგრირების შესახებ და მიაწვდის სამინისტროს ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბების რეკომენდაციებს, რათა ხელი შეუწყოს რეგიონული განზომილებების ასახვას სექტორულ პოლიტიკაში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების აქტიური ჩართულობით. დაგეგმილია მენტორინგის, ქოუჩინგისა და სამუშაო ტრენინგის სესიების სერია, რომლებიც ჩატარდება სხვადასხვა თემატურ სფეროებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის.

აგრეთვე მიმდინარეობს პროექტი სასწავლო ტურის ორგანიზებასთან დაკავშირებით, რათა მონაწილეები გაეცნონ ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილებას, რეგიონული განვითარების პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ.

აქტივობა 1.2. პროექტის მართვისა და განხორციელების შესაძლებლობების განვითარება

2022 წელს იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისთვის ჩატარდა ტრენინგების სერია, რომლის შემდეგაც იმერეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა წინადადებები საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისთვის ტექნიკური დახმარების მისაღებად. აღნიშნული მოიცავს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, ტექნიკურ გეგმების, საკონტრაქტო, გარემოსდაცვითი შეფასებების და სხვა დოკუმენტების შემუშავებას. დასაფინანსებლად შეირჩა სამი წინადადება, მათ შორის ერთი გულისხმობს მუნიციპალურ თანამშრომლობას.

აქტივობა 1.3. ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის გაძლიერება

მუნიციპალური სერვისების განვითარების ხელშეწყობის აქტივობის ფარგლებში დასრულებულია პირველადი კონსულტაციები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, საპილოტე რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებთან და შესაბამისი მუნიციპალიტეტების მერებთან. შედეგად არქიტექტურა/ურბანული დაგეგმარება განისაზღვრა, როგორც თემატური სფერო მუნიციპალური თანამშრომლობისთვის. თემატური ჯგუფების მუშაობის გასაადვილებლად დაქირავებულნი არიან კვალიფიციური ექსპერტები.

შედეგი 2: მომხმარებელზე ორიენტირებულ, მაღალი ხარისხის და ანგარიშვალდებულ საჯარო სერვისებზე უფრო ფართო წვდომა უზრუნველყოფილია.

აქტივობა 2.1. ინოვაციების ხელშეწყობა ადგილობრივი საჯარო სერვისების მიწოდებაში

არსებული მუნიციპალური სერვისების (რომელიც გავლენას ახდენს ტერიტორიულ განვითარებაზე) გაუმჯობესების მიზნით პროექტის ფარგლებში შემუშავდა და გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან (NALAG). ურბანული განახლება, ადგილობრივი ისტორიული ძეგლების პოტენციალის გახსნა და სკოლამდელი განათლება განისაზღვრა, როგორც ძირითადი პოლიტიკის სფეროები, რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას, დასაქმების შესაძლებლობების შექმნას და შემოსავლის გენერირებას. მცირე მასშტაბის პროექტების იდენტიფიცირება ხდება NALAG-ის მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე და შერჩეული პროექტები განხორციელდება NALAG-ის ტექნიკური დახმარებით სამიზნე რეგიონებში.

აქტივობა 2.2. ადგილობრივ საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს IT აღჭურვილობის (ლეპტოპები, სკანერები) შესყიდვის პროცესი, 27 მუნიციპალიტეტის მერიისთვის, რათა ხელი შეუწყოს ამ მუნიციპალიტეტების თემების წარმომადგენლებისგან შესაბამისი მონაცემთა შეგროვებას. გარდა ამისა, „მერის წარმომადგენლების მიერ შორეულ ადგილებში მუნიციპალური/საჯარო სერვისების მიწოდების კონცეფციის“ შემუშავებით, პროექტი უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ ამჟამად შექმნილი ერთიანი ელექტრონული სისტემის მხარდაჭერას. კონცეფციის ფარგლებში გამოვლინდება მერის წარმომადგენლობით ოფისებში მომსახურების მიწოდების განყოფილებების შექმნის კრიტერიუმები, უფრო მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მომსახურების სახეების (რომლებიც შეიძლება იყოს ადგილზე მიწოდებული) განსაზღვრისათვის.

მუნიციპალური სერვისების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის კამპანიის ფარგლებში დაიწყო მოლაპარაკებები მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან (MSDA), რათა ხელი შეეწყოს მოქალაქეებისთვის ერთიანი ელექტრონული სისტემის (UES) - მუნიციპალური სერვისების მიწოდების ციფრული პლატფორმის ათვისებას (ციფრული პლატფორმა - ms.gov.ge – შედგება 17 ელექტრონული სერვისის მოდულისგან, რომელიც მოიცავს მუნიციპალური სერვისების ფართო სპექტრს და შემუშავებულია 63 მუნიციპალიტეტისთვის). MSDA-სთან მოლაპარაკებების შედეგად, გადაწყდა, რომ 2022 წლის ზაფხულში შემუშავებულ იქნას კამპანიის სტრატეგია, ხოლო კამპანიის დაწყება 2022 წლის შემოდგომაზე. კამპანიის ძირითადი მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება UES-ის მეშვეობით მოწოდებული მუნიციპალური სერვისების და UES-ის - ms.gov.ge ფუნქციების შესახებ აუდიტორიის შესაბამისი უნარებით აღჭურვა. კამპანიის სტრატეგიის შემუშავებისას პროექტი იყენებს UNDP-ის დაკვეთით საქართველოში მუნიციპალურ ელექტრონულ მომსახურებებზე წვდომის დაჩქარების შესახებ კვლევის შედეგებს. კამპანიის ფარგლებში მიწოდებული შეტყობინებები ხაზს უსვამს ელექტრონული საჯარო სერვისების სარგებელს და დამტკიცდა ძირითადი დაინტერესებული მხარეების - MRDI და MSDA-ს მიერ.

შედეგი 3: საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა რეგიონული/ადგილობრივი განვითარების პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში

აქტივობა 3.1. მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროექტი მიჰყვება კომუნიკაციისა და ხილვადობის გეგმას. განხორციელების პირველ წელს პროექტი გააზიარებს EU4ITD პროექტის წარმატებულ აქტივობებს და ადამიანების ისტორიებს ზემოთ აღნიშნული აქტივობების განხორციელების შემდეგ. გაეროს განვითარების პროგრამის ვებგვერდთან და სოციალური მედიის არხებთან ერთად, კომუნიკაცია ასევე უზრუნველყოფილი იქნება საინფორმაციო პლატფორმის „ჩაერთე და მართე“ მეშვეობითაც.

საანგარიშო პერიოდში GIZ-ის პროექტის „EU4ITD - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი სრიგპ რეგიონებში“ ფარგლებში შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

პროექტის მოწყობა – CESL გუნდისა და საშუალებების (მაგ. შენობა, მანქანები), შიდა/გარე მართვის/კოორდინაციის მექანიზმის შექმნა;

ჩატარდა თავდაპირველი გაცნობითი მისიები, რომელიც მოიცავს ოთხივე საპილოტე რეგიონს, სამხარეო ადმინისტრაციასა და 27 მუნიციპალიტეტს;

არსებული ინიციატივების (მაგ. PIRDP პროექტები) და დოკუმენტების (მაგ. ურბანული რეგენერაციის გეგმების) ანალიზი, CESL პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაკავშირებლად;

შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან ცენტრალურ დონეზე (მაგ. სახელმწიფო სააგენტოებთან, დონორებთან) დუბლირების თავიდან აცილებისა და სინერგიის ხელშეწყობის მიზნით.

შეხვედრები არაპირდაპირ დაინტერესებულ მხარეებთან (ანუ არა გუბერნატორებთან ან მუნიციპალიტეტებთან) რეგიონებში (მაგ. სავაჭრო პალატები, სსო, პროფესიული განათლების კოლეჯები);

საპროექტო იდეების გენერირება, შეგროვება/ანალიზი, რომელიც უნდა დაფინანსდეს CESL პროექტის ფარგლებში. ასეთი იდეები მიღებულია, მაგალითად, მუნიციპალიტეტებიდან ან საგრანტო სქემების მეშვეობით, რასაც საჭიროებისამებრ, მოჰყვება გასაუბრება და ადგილზე ვიზიტები, დაფინანსების გადაწყვეტილების მომზადებამდე სათანადო გამოკვლევის ჩასატარებლად.

2022 წლის შემოდგომაზე გამოსაცხადებელი საპროექტო იდეების კონკურსის დოკუმენტაციის შემუშავება. საპროექტო იდეები, რომლებიც ადრე იყო იდენტიფიცირებული ე.წ. 1-ლი ტალღა - წარდგენილი იქნბა ამ კონკურსის ფარგლებში 2022 წლის შემოდგომა/ზამთარში. მე-2 ტალღის საპროექტო იდეები (ანუ ისინი, რომლებიც დღემდე არ არის გამოვლენილი) მოგვიანებით მოჰყვება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაძლებლობების გასაძლიერებლად კონტრაქტის მომზადება ან ტექნიკური მხარდაჭერა. 2023 წლის გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტის შემუშავებაში, ინდივიდუალური მეწარმეებისა და მიკრო საწარმოების საჯარო მხარდაჭერის სქემებისა და იმერეთის პოსტინდუსტრიულ ქალაქებში მხარდაჭერის შესაძლებლობების შეფასებაში სამინისტროს მხარდაჭერა.

EU4ITD ფინანსური შეთანხმების მე-2 ცვლადი ტრანშის პირობების შესრულების მიმოხილვა

2020 წლის 28 სექტემბერს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ფინანსურ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს 40.5 მილიონი ევროს მოცულობის საბიუჯეტო მხარდაჭერას საქართველოსთვის. აღნიშნული ფინანსური შეთანხმების ამოცანაა დაბალანსებული ტერიტორიული განვითარების ხელშეწყობა და მოსახლეობის ცხოვრების დონის და პირობების გაუმჯობესება, ინკლუზიური ჭკვიანი და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური საშუალებებით, რომლებიც მიზნად ისახავს ახალი მიზიდულობის ცენტრების შექმნას გარდა თბილისისა და ბათუმისა. ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში გრანტის გამოყოფა ხორციელდება ეტაპობრივად, შესაბამისი პირობების შესრულების კვალდაკვალ და ამ ეტაპზე გამოყოფილია ფიქსირებული ტრანში საერთო მოცულობით - 15 მილიონი ევრო. პირველი ცვლადი ტრანშის პირობები (2021 წელი) შესრულებულია და უნდა ჩამოირიცხოს 2022 წლის ბოლოსკენ, საერთო მოცულობით - 5 მილიონი ევრო. აღსანიშნავია, რომ ცვლადი ტრანშის პირობები შესრულდა 100%-თ, რაც გულისხმობს 2021 წელს გათვალისწინებული ცვლადი ტრანშის უდანაკარგო ჩამორიცხვას.

ფინანსური შეთანხმების ფარგლებში 2022 წელს უნდა შესრულდეს სულ 6 ინდიკატორი:

1. ***ინდიკატორი 1.1.2 a***: 2020-2023 წლებში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები შეარჩევენ სრიგპ-ის ფარგლებში განსახორციელებელი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების რაოდენობის არანაკლებ 60%;
2. ***ინდიკატორი 1.1.2 b***: 2020-2023 წლებში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები შეარჩევენ სრიგპ-ის ფარგლებში განსახორციელებელი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების ფინანსური მოცულობის არანაკლებ 60% ;
3. ***ინდიკატორი 1.4.2***: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები თითოეულ სრიგპ-ის პრიორიტეტზე და საპილოტე რეგიონზე შეადგენს დაგეგმილი ხარჯების არანაკლებ 75%;
4. ***ინდიკატორი 2.2.2***: 100 ბიზნესი/მიკრო/მცირე და საშუალო საწარმო რეგისტრირებულია/ოპერირებს 4 საპილოტე რეგიონში რომელიც მხარდაჭერილია:
    - საგრანტო სქემით არსებული ინდუსტრიული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;
    - საგრანტო სქემით მიკრო და მცირე ადგილობრივი საწარმოებისთვის მცირე აღჭურვილობის შესაძენად.
5. ***ინდიკატორი 2.1.2***: სრიგპ-ის პრიორიტეტი 1-ს ფარგლებში მოწყობილია/შესყიდულია არანაკლებ 6 ტიპის სოციალური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (20 კმ ადგილობრივი გზები, 15 ავტობუსის გაჩერება, 4 თეატრი ან საკონცერტო ან საგამოფენო დარბაზი, სპორტული ობიექტი, 200 m^2 საპარკინგე ადგილები, 10 ავტობუსი, 35 ქუჩაზე შენობების მისამართების აბრები, 50 შუქნიშანი, 2 “ბრაუნფილდი”, 800 სანაგვე ურნა, 2000 მ2 საფეხმავლო სივრცე);

6. ***ინდიკატორი 3.1.2***: სრიგპ-ის პრიორიტეტი 2-ის ფარგლებში მოწყობილია/შესყიდულია არანაკლებ 4 ტიპის სოციალური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (20 ერთეული მცირე ზომის ინფრასტრუქტურა, როგორიცაა საპარკინგე ადგილები, სანიტარული წერტილები, საინფორმაციო ბანერები, ტურისტული თავშესაფრები, საკემპინგე და დასასვენებელი ადგილები, 4 მუზეუმი ან მცირე საგამოფენო ცენტრი, 700 მ2 მცირე ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილები, 4 კულტურის ან ბუნების ძეგლი, 2 კმ საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკები).

ინდიკატორი 1.1.2 a-ს სამიზნის შესრულების მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N200 დადგენილების მიხედვით საპილოტე რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები ირჩევენ (გარდა სრიგპ-ის მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის პროექტებისა, როლებსაც შესაბამისი სახელმწიფო სააგენტოები ირჩევენ) სრიგპ-ის ფარგლებში საპილოტე რეგიონების მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილ საპროექტო იდეებს - შერჩევის პირველ ეტაპზე, ხოლო მე-2 ეტაპზე - საპროექტო განაცხადებს. სტრატეგიული პროექტების შემთხვევაში (პროექტი რომლის ფინანსური ღირებულება 5 მილიონ ლარზე მეტია) პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილებას იღებს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისია. საპროექტო იდეა ან საპროექტო განაცხადი შერჩევამდე გადის ადმინისტრაციული და ტექნიკური შეფასების ეტაპებს, რომელიც ხორციელდება შესაბამისი საპილოტე რეგიონის სამხარეო ადმინისტრაციასთან არსებული სამხარეო ადმინისტრაციების, არასამთავრობო და აკადემიური ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის მიერ. შემდეგ ეტაპზე, ის პროექტები, რომლებმაც ტექნიკური შეფასების შედეგად მიიღეს გათვალისწინებული ქულების 70% ან მეტი, შესარჩევად ეგზავნება შესაბამისი რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს. მომდევნო ეტაპზე სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეული პროექტები სამხარეო ადმინისტრაციების მიერ წარედგინება საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიას, რომელიც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N200 დადგენილებით და შესაბამისი პრიორიტეტის საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ დასაფინანსებლად ეგზავნება საქართველოს მთავრობას.

რაც შეეხება სრიგპ-ის მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში სახელმწიფო სააგენტოების მიერ დაფინანსებულ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის პროექტებს, მათი ბუნების გათვალისწინებით მათ ირჩევენ შესაბამისი სააგენტოები. აღნიშნული ყოვლისმომცველად იქნა განხილული და გათვალისწინებული ფინანსური შეთანხმების ინდიკატორების შედგენისას და, შესაბამისად, აისახა ფინანსური შეთანხმების პოლიტიკის მატრიცის ინდიკატორებში 1.1.2 a და 1.1.2 b. ფინანსური ხელშეკრულების დანართი 1 (ცვლადი ტრანშების შესრულების ინდიკატორები) განსაზღვრავს გაანგარიშების მეთოდს, რომლის მიხედვითაც „მიზნის სრული მიღწევაა“: 2020-2023 წლებში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები შეარჩევენ სრიგპ-ის ფარგლებში განსახორციელებელი და

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების რაოდენობის/ფინანსური მოცულობის არანაკლებ 60%. პროექტის განმარტება მოცემულია სქოლიოში: «პროექტი არის საქმიანობა ან აქტივობების ჯგუფი პროდუქტების, სერვისების ან სამუშაოების მიწოდებისთვის. სრიგპ-ის ფარგლებში დასაფინანსებელი ინდივიდუალური პროექტები იდენტიფიცირებულია სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ. შესაბამისად ინდიკატორი 1.1.2 a-ს და 1.1.2 b-ს სამიზნის მიღწევის გაანგარიშებაში სრიგპ-ის მე-3 პრიორიტეტის პროექტები არ შედის.

2020 წელს ჯამში სრიგპ-ის ფარგლებში საპილოტე რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეულ იქნა 11 პროექტი, საიდანაც 11-ვე პროექტი საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს 1573 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან იქნა დაფინანსებული, კერძოდ: იმერეთში შერჩეულ იქნა 5 პროექტი, კახეთში - 3, გურიაში - 2, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში - 1 პროექტი.

2021 წელს იმერეთის საპილოტე რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ სრიგპ-ის ფარგლებში ჯამში შეარჩია 43 პროექტი, კახეთის - 12 პროექტი, გურიის - 6 პროექტი, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ - 9 პროექტი. ჯამში 2021 წელს სრიგპ-ის ფარგლებში საპილოტე რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეულ იქნა 70 პროექტი და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აგვისტოს 2380 განკარგულებით დაფინანსდა 64 პროექტი.

2022 წელს იმერეთის საპილოტე რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ სრიგპ-ის ფარგლებში ჯამში შეარჩია 28 პროექტი, კახეთის - 23 პროექტი, გურიის - 9 პროექტი, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ - 7 პროექტი. ჯამში 2022 წელს სრიგპ-ის ფარგლებში საპილოტე რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეულ იქნა 67 პროექტი, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წლის 15 აგვისტოს N1456 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 72 პროექტი იქნა დაფინანსებული, საიდანაც 5 არის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ 2021 წელს შერჩეული და დასაფინანსებლად 2022 წელს წარდგენილი პროექტი.

ჯამში 2020-2022 წლებში სრიგპ-ის ფარგლებში დაფინანსებულია 147 პროექტი, საიდანაც ყველა - 147 პროექტი შერჩეულია სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ.

ცხრილი 21. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეული და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტების რაოდენობა და წილი

რეგიონი	2020 წელს საბჭოს მიერ შერჩეული	2021 წელს საბჭოს მიერ შერჩეული	2022 წელს საბჭოს მიერ შერჩეული	2020-2022 წწ. საბჭოს მიერ შერჩეული და დაფინანსებული	საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული	სამხარეოს მიერ შერჩევის %
იმერეთი	5	43	28	76	76	100%
კახეთი	3	12	23	38	38	100%

გურია	2	6	9	17	17	100%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1	9	7	16	16	100%
ჯამი	**11**	**70**	**67**	**147**	**147**	**100%**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახად შეიძლება აღინიშნოს რომ EU4ITD ფინანსური შეთანხმების ინდიკატორი 1.1.2 a-ს სამიზნეები სრულად იქნა მიღწეული და სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეული და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების წილი ნაცვლად არანაკლებ 60%-სა, შეადგენს 100%-ს. შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორით გათვალისწინებული ტრანში - 1 მილიონი ევროს მოცულობით, სრულად და უდანაკარგოდ უნდა იქნას გამოყოფილი.

ინდიკატორი 1.1.2 b-ს სამიზნის შესრულების მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N200 დადგენილების მიხედვით საპილოტე რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები შეარჩევენ (გარდა სრიგპ-ის მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის პროექტებისა, როლებსაც შესაბამისი სახელმწიფო სააგენტოები ირჩევენ) სრიგპ-ის ფარგლებში საპილოტე რეგიონების მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილ საპროექტო იდეებს - შერჩევის პირველ ეტაპზე, ხოლო მე-2 ეტაპზე - საპროექტო განაცხადებს. სტრატეგიული პროექტების შემთხვევაში (პროექტი რომლის ფინანსური ღირებულება 5 მილიონ ლარზე მეტია) პროექტების შერჩევაზე გადაწყვეტილებას იღებს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისია. საპროექტო იდეის ან საპროექტო განაცხადის შერჩევამდე აღნიშნული გადის ადმინისტრაციული და ტექნიკური შეფასების ეტაპებს, რომელიც ხორციელდება შესაბამისი საპილოტე რეგიონის სამხარეო ადმინისტრაციასთან არსებული სამხარეო ადმინისტრაციების, არასამთავრობო და აკადემიური ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის მიერ. შემდეგ ეტაპზე, ის პროექტები, რომლებმაც ტექნიკური შეფასების შედეგად მიიღეს გათვალისწინებული ქულების 70% ან მეტი, შესარჩევად ეგზავნება შესაბამისი რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს. მომდევნო ეტაპზე სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეული პროექტები სამხარეო ადმინისტრაციების მიერ წარედგინება საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიას, რომელიც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N200 დადგენილებით და შესაბამისი პრიორიტეტის საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ დასაფინანსებლად ეგზავნება საქართველოს მთავრობას.

რაც შეეხება სრიგპ-ის მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში სახელმწიფო სააგენტოების მიერ დაფინანსებულ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის პროექტებს, მათი ბუნების გათვალისწინებით მათ ირჩევენ შესაბამისი სააგენტოები. აღნიშნული

ყოვლისმომცველად იქნა განხილული და გათვალისწინებული ფინანსური შეთანხმების ინდიკატორების შედგენისას და, შესაბამისად, აისახა ფინანსური შეთანხმების პოლიტიკის მატრიცის ინდიკატორებში 1.1.2 a და 1.1.2 b. ფინანსური ხელშეკრულების დანართი 1 (ცვლადი ტრანშების შესრულების ინდიკატორები) განსაზღვრავს გაანგარიშების მეთოდს, რომლის მიხედვითაც „მიზნის სრული მიღწევაა“: 2020-2023 წლებში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები შეარჩევენ სრიგპ-ის ფარგლებში განსახორციელებელი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების რაოდენობის/ფინანსური მოცულობის არანაკლებ 60%. პროექტის განმარტება მოცემულია სქოლიოში: «პროექტი არის საქმიანობა ან აქტივობების ჯგუფი პროდუქტების, სერვისების ან სამუშაოების მიწოდებისთვის. სრიგპ-ის ფარგლებში დასაფინანსებელი ინდივიდუალური პროექტები იდენტიფიცირებულია სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ. შესაბამისად ინდიკატორი 1.1.2 a-ს და 1.1.2 b-ს სამიზნის მიღწევის გაანგარიშებაში სრიგპ-ის მე-3 პრიორიტეტის პროექტები არ შედის.

2020 წელს ჯამში სრიგპ-ის ფარგლებში საპილოტე რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეულ იქნა 11 პროექტი საერთო მოცულობით 4,782,259 ლარი, საიდანაც 11-ვე პროექტი საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს 1573 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან იქნა დაფინანსებული, კერძოდ: იმერეთში შერჩეულ იქნა 5 პროექტი, კახეთში - 3, გურიაში - 2, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში - 1 პროექტი.

2021 წელს იმერეთის საპილოტე რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ სრიგპ-ის ფარგლებში ჯამში შეარჩია 43 პროექტი, კახეთის 12 პროექტი, გურიის - 6 პროექტი, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ 9 პროექტი. ჯამში 2020 წელს სრიგპ-ის ფარგლებში საპილოტე რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეულ იქნა 70 პროექტი და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აგვისტოს 2380 განკარგულებით დაფინანსდა 64 პროექტი საერთო მოცულობით 25,895,369 ლარი.

2022 წელს იმერეთის საპილოტე რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ სრიგპ-ის ფარგლებში ჯამში შეარჩია 28 პროექტი, კახეთის 23 პროექტი, გურიის - 9 პროექტი, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ 7 პროექტი. ჯამში 2022 წელს სრიგპ-ის ფარგლებში საპილოტე რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეულ იქნა 67 პროექტი საერთო მოცულობით 123,424,026 ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წლის 15 აგვისტოს 1456 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 72 პროექტი იქნა დაფინანსებული, საიდანაც 5 არის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ 2021 წელს შერჩეული და დასაფინანსებლად 2022 წელს წარდგენილი პროექტი.

ჯამში 2020-2022 წლებში სრიგპ-ის ფარგლებში დაფინანსებულია 154,101,654 ლარის ღირებულების 147 პროექტი, საიდანაც ყველა - 147 პროექტი საერთო მოცულობით 154,101,654 ლარი შერჩეულია სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ.

ცხრილი 22. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეული და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტების რაოდენობა და ფინანსური მოცულობა

პრიორიტეტი	რეგიონი	პროექტების რაოდენობა 2020-2022	სსს-ის მიერ შერჩეული და სრიგპ-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მოცულობა 2020-2022	2020-2022 წლებში სრიგპ-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მოცულობა	%
1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე	იმერეთი	24	31,642,686	31,642,686	100%
	კახეთი	14	25,166,319	25,166,319	100%
	გურია	5	9,477,782	9,477,782	100%
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	5,115,142	5,115,142	100%
	ჯამი	**45**	**71,401,929**	**71,401,929**	100%
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	იმერეთი	16	10,007,691	10,007,691	100%
	კახეთი	6	8,231,097	8,231,097	100%
	გურია	4	3,111,270	3,111,270	100%
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6	1,540,857	1,540,857	100%
	ჯამი	**32**	**22,890,915**	**22,890,915**	100%
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება	იმერეთი	36	26,333,725	26,333,725	100%
	კახეთი	18	20,073,437	20,073,437	100%
	გურია	8	8,290,171	8,290,171	100%
	რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	8	5,111,478	5,111,478	100%
	ჯამი	**70**	**59,808,811**	**59,808,811**	100%
სულ ჯამი		**147**	**154,101,654.90**	**154,101,654.90**	100%

*ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახად შეიძლება აღინიშნოს რომ **EU4ITD ფინანსური შეთანხმების ინდიკატორი 1.1.2 ბ-ს სამიზნეები სრულად იქნა მიღწეული და სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ შერჩეული და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების ფინანსური მოცულობის წილი ნაცვლად არანაკლებ 60%-სა შეადგენს 100%-ს. შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორით გათვალისწინებული ტრანში - 1 მილიონი ევროს მოცულობით, სრულად და უდანაკარგოდ უნდა იქნას გამოყოფილი.***

ინდიკატორი 1.4.2-ს სამიზნის შესრულების მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებით დამტკიცებული საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მე-6 თავის „პროგრამის განხორციელება და ფინანსური გეგმა“ ცხრილი 20-ის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯამში ოთხივე საპილოტე რეგიონისთვის და პროგრამის ოთხ პრიორიტეტზე დაგეგმილია 50.5

მილიონი ევროს ღირებულების პროექტების დაფინანსება, რაც ეროვნული ბანკის მოქმედი კურსით (18/08/2022 კურსით 1 ევრო 2.8507 ლარი) 143,960,350 ლარს შეადგენს.

ცხრილი 23. სრიგპ-ს ბიუჯეტის განაწილება პრიორიტეტების მიხედვით 2020-2022 წწ (სრიგპ-ის ცხრილი 20)

პრიორიტეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი €		სახელმწიფო ბიუჯეტი ₾[10]
	საქართველოს მთავრობა €	ევროკავშირის საბიუჯეტო დაფინანსება €	
1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული ღონისძიებები ურბანულ ტერიტორიებზე	3,00	16,00	54,163,300
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	1,00	5,00	17,104,200
3. ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა	3,00	7,00	28,507,000
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება	3,00	12,50	44,185,850
ჯამი	**10,00**	**40,50**	**143,960,350**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია სრიგპ-ის ფარგლებში გათვალისწინებული თანხების საპილოტე რეგიონებს შორის განაწილება, რომელიც განხორციელდა სრიგპ-ის ფარგლებში გათვალისწინებული შესაბამისი ფორმულით და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების პროპორციით - 60%/20%/20%. ფორმულა ითვალისწინებს რეგიონების პოტენციური ათვისების შესაძლებლობას, ბიზნესის ზრდას ადგილობრივ პოტენციალზე დაყრდნობით და სოფლის ტიპის დასახლებებში არსებულ ეკონომიკურ გარემოს.

ცხრილი 24. სრიგპ-ს თანხების რეგიონებს შორის განაწილება (სრიგპ-ის ცხრილი 21)

რეგიონი	განაწილება (%)	განაწილება €	განაწილება ₾[11]
იმერეთი	43.8	22,100,000	63,000,470
კახეთი	35.6	18,000,000	51,312,600
გურია	14.0	7,100,000	20,239,970
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6.6	3,300,000	9,407,310
სულ	**100.0**	**50,500,000**	**143,960,350**

ჯამში 2020-2022 წლებში სრიგპ-ის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილ იქნა - 2020 წელს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 ივნისის N1007

[10] გაანგარიშებულია ეროვნული ბანკის 18/08/2022 კურსით 1 ევრო 2.8507 ლარი.

[11] გაანგარიშებულია ეროვნული ბანკის 18/08/2022 კურსით 1 ევრო 2.8507 ლარი.

განკარგულებით - 5 მილიონი ლარი, 2021-2022 წლებში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N1573 განკარგულებით - 200 მილიონი ლარი. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს N1573 განკარგულებით ჯამში 11 პროექტზე ათვისებულ იქნა 4,782,259 ლარი, ხოლო 2021 და 2022 წლებში საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს N1456 განკარგულების მიხედვით ათვისებულ იქნა 25 895 370 ლარი და 123,424,026 ლარი შესაბამისად, საიდანაც 54,006,649 ლარი (25,895,370 ლარი - 2021 წლის ბიუჯეტიდან და 28,111,279 ლარი - 2022 წლის ბიუჯეტიდან) გამოიყო 2021 წელს დაფინანსებულ 64 პროექტზე, ხოლო 95,312,747 ლარი 2022 წელს დაფინანსებულ 72 პროექტზე. გარდა ამისა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N1573 განკარგულებით სრიგპ-ის მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში 2021 წლისთვის გამოყოფილ იქნა 3,069,884 ლარი, ხოლო 2022 წლისთვის - 36,560,116 ლარი, საიდანაც სამი სახელმწიფო სააგენტოს - სოფლის განვითარების სააგენტოს, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ 2021-2022 წლებში ათვისებულ იქნა 36,285,210 ლარი. სრიგპ-ის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებით დამტკიცებული საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით გათვალისწინებულია 50.5 მილიონი ევრო - 143,960,350[12] ლარი, თუმცა საქართველოს მთავრობის მიერ 2020-2022 წლებში სრიგპ-ისთვის ჯამში გათვალისწინებული იყო 205,000,000 ლარი, რაც სრიგპ-ით დადგენილება N628-ით გათვალისწინებულ თანხას 42% აღემატება. საანგარიშო პერიოდში ჯამში ათვისებულ იქნა 190,386,865 ლარი, რაც საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხის 93%, ხოლო ***სრიგპ-ითი გათვალისწინებული თანხის 132%-ია. აღნიშნული მნიშვნელოვნად აღემატება EU4ITD ფინანსური შეთანხმების ინდიკატორი 1.4.2-ით გათვალისწინებულ 75%-ს.*** პრიორიტეტების მიხედით: პირველი პრიორიტეტის ფარგლებში სრიგპ-ის ფარგლებში გათვალისწინებული თანხა შეადგენს 54,163,300 ლარს, ხოლო 2020-2022 წლებში პროგრამის პირველი პრიორიტეტის ფარგლებში ათვისებულ იქნა 71,401,929 ლარი, რაც სრიგპ-ით გათვალისწინებული თანხის 132%-ია; მეორე პრიორიტეტის მაჩვენებელმა 134% შეადგინა; რაც შეეხება მე-3 პრიორიტეტს, შესრულების კუთხით ეს პრიორიტეტი მცირედ ჩამორჩება სხვა პრიორიტეტებს, თუმცა მიუხედავად ამისა EU4ITD ფინანსური შეთანხმების ინდიკატორი 1.4.2-ით გათვალისწინებულ 75%-იან მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება და შეადგენს 127%-ს. ყველაზე მაღალი შესრულებით - 135%-ით პრიორიტეტი 4 გამოირჩევა.

ცხრილი 25. სრიგპ-ის შესრულება პრიორიტეტების მიხედვით

პრიორიტეტი	სრიგპ-ის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება 2020-2022	მთავრობის განკარგულებების მიხედვით გამოყოფილი თანხა	ათვისებული თანხა 2020-2022	2020-2022 მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის შესრულების მაჩვენებელი	შესრულების მაჩვენებელი % 2020-2022
1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე	54,163,300	77,772,230	71,401,929	92%	132%

[12] გაანგარიშებულია ეროვნული ბანკის 18/08/2022 კურსით 1 ევრო 2.8507 ლარი.

2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	17,104,200	24,191,823	22,890,915	95%	134%
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციები ხელშეწყობა	28,507,000	39,630,000	36,285,210	91.6%	127%
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება	44,185,850	63,405,947	59,808,811	94%	135%
ჯამი	**143,960,350**[13]	**205,000,000**	**190,386,865**	**92.9%**	**132.2%**

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებით დამტკიცებული საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით გათვალისწინებულია 50.5 მილიონი ევრო - 143,960,350 ლარი. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს N1573 განკარგულებით 2020 წელს სრიგპ-ის ფარგლებში ათვისებულ იქნა 4,782,259 ლარი: იმერეთის რეგიონისთვის - 2,159,444 ლარი; კახეთის რეგიონისთვის - 1,772,166 ლარი; გურიის რეგიონისთვის - 531,857 ლარი; და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონისთვის - 318,792 ლარი. 2021 და 2022 წლებში საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს N1456 განკარგულების მიხედვით ათვისებულ იქნა 25 895 370 ლარი და 123,424,026 ლარი შესაბამისად, საიდანაც 54,006,649 ლარი (25,895,370 ლარი 2021 წლის ბიუჯეტიდან და 28,111,279 ლარი 2022 წლის ბიუჯეტიდან) გამოიყო 2021 წელს დაფინანსებულ 64 პროექტზე, ხოლო 95,312,747 ლარი - 2022 წელს დაფინანსებულ 72 პროექტზე. ჯამში სრიგპ-ის ფარგლებში ოთხივე საპილოტე რეგიონის მიერ ათვისებულ იქნა 188,254,002 ლარი, კერძოდ:

1. იმერეთის რეგიონისთვის 2020-2022 წლებში სრიგპ-ის ფარგლებში დადგენილება N628-ის მიხედვით გათვალისწინებული იყო 63,000,470 ლარი, ხოლო იმერეთის რეგიონის მიერ ოთხივე პრიორიტეტის ფარგლებში ათვისებულ იქნა 84,301,811ლარი, რაც გამოყოფილი თანხის 134%-ს შეადგენს;
2. კახეთის რეგიონისთვის გათვალისწინებული იყო - 51,312,600 ლარი, ათვისებულ იქნა - 63,823,459 ლარი, რაც სრიგპ-ის ფარგლებში დადგენილება N628-ის მიხედვით გათვალისწინებული თანხის 124%-ს შეადგენს;
3. გურიის რეგიონისთვის გათვალისწინებული იყო - 20,239,970 ლარი, ათვისებულ იქნა - 28,538,403ლარი, რაც სრიგპ-ის ფარგლებში დადგენილება N628-ის მიხედვით გათვალისწინებული თანხის 141%-ს შეადგენს;
4. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონისთვის გათვალისწინებული იყო - 9,407,310 ლარი, ათვისებულ იქნა - 13,723,191ლარი, რაც სრიგპ-ის ფარგლებში დადგენილება N628-ის მიხედვით გათვალისწინებული თანხის 146%-ს შეადგენს.

[13] გაანგარიშებულია ეროვნული ბანკის 18/08/2022 კურსით 1 ევრო 2.8507 ლარი.

გარდა ამისა პროგრამის პრიორიტეტი 3-ს ფარგლებში ჯამში 2020-2022 წლებში ათვისებულ იქნა 36,285,210 ლარი, 420 მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის პროექტის დასაფინანსებლად.

ცხრილი 26. სრიგპ-ის შესრულება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	განაწილება სრიგპ ₾[14]	მთავრობის განკარგულებების მიხედვით გამოყოფილი თანხა	2020-2022 წლებში ათვისებული თანხა ₾	2020-2022 მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის შესრულების მაჩვენებელი	2020-2022 წლებში ათვისებული თანხა %
იმერეთი	63,000,470	89,188,159	84,301,811	95%	134%
კახეთი	51,312,600	72,618,738	63,823,459	88%	124%
გურია	20,239,970	28,594,333	28,538,403	102%	141%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	9,407,310	14,598,770	13,723,191	94%	146%
სულ	**143,960,350**	**205,000,000**	**190,386,865**	**94%**	**132%**

ოთხივე საპილოტე რეგიონისთვის საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილების მიხედვით 2020-2022 წლებში გათვალისწინებული იყო 143,960,350 ლარი, ხოლო საანგარიშო პერიოდისთვის საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს N1456 განკარგულების მიხედვით ათვისებულ იქნა 190,386,865 ლარი, რაც გათვალისწინებული თანხის 132%-ს შეადგენს.

ცალსახად შეიძლება აღინიშნოს რომ EU4ITD ფინანსური შეთანხმების ინდიკატორი 1.4.2-ის სამიზნეები სრულად იქნა მიღწეული და 1.4.2 ინდიკატორით გათვალისწინებული ტრანში - 2 მილიონი ევროს მოცულობით, სრულად და უდანაკარგოდ უნდა იქნას გამოყოფილი.

ინდიკატორი 2.1.2-ს სამიზნის შესრულების მიმოხილვა

პრიორიტეტი 1-ის ღონისძიებების 1.1 ა - „რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაცია“ და 1.1 ბ - „რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალების განვითარება“ ფარგლებში ფინანსური შეთანხმების 2022 წლის ტრანშით გათვალისწინებულია შემდეგი ინდიკატორი:

ინდიკატორი 2.1.2 : სრიგპ-ის პრიორიტეტი 1-ის ღონისძიება 1.1-ის ფარგლებში მოწყობილია/შესყიდულია არანაკლებ 6 ტიპის სოციალური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა:

[14] გაანგარიშებულია ეროვნული ბანკის 18/08/2022 კურსით 1 ევრო 2.8507 ლარი.

ცხრილი 27. EU4ITD ფინანსური შეთანხმების 2.1.2 ინდიკატორის სამიზნეები

	EU4ITD-ს მყისიერი შედეგები, ინდიკატორი 2.1.2	შეწონილი ქულა
1.	20 კმ ადგილობრივი გზები მოწყობილია/რეაბილიტირებულია;	10
2.	15 ავტობუსის გაჩერება მოწყობილია/რეაბილიტირებულია;	10
3.	4 თეატრი ან საკონცერტო ან საგამოფენო დარბაზი, სპორტული ობიექტი მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია;	10
4.	200 მ2 საპარკინგე ადგილები მოწყობილია/რეაბილიტირებულია;	10
5.	10 ავტობუსი შეძენილია	10
6.	35 ქუჩაზე შენობების მისამართების აბრები დაკრულია;	10
7.	50 შუქნიშანი მოწყობილია/რეაბილიტირებულია;	10
8.	2 "ბრაუნფილდი" დაფუძნებულია/ფუნქციონირებს;	10
9.	800 სანაგვე ურნა შესყიდულია და დაყენებულია;	10
10.	2000 მ2 საფეხმავლო სივრცე მოწყობილია /რეაბილიტირებულია/ აღჭურვილია.	10
	ჯამური შეწონილი ქულა	**100**

2020-2022 წლებში პრიორიტეტი 1-ს, ღონისძიებების 1.1 ა და 1.1 ბ შესაბამისად 37-მდე პროექტის ფარგლებში EU4ITD ფინანსური შეთანხმების 2.1.2 ინდიკატორის მყისიერი შედეგების სამიზნეების მიღწევის კუთხით, რეგიონულ ჭრილში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

- იმერეთის რეგიონში შესაბამის ინდიკატორებს აკმაყოფილებს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული 18 პროექტი, კერძოდ: მოწყობილია/რეაბილიტირებულია 5.8 კილომეტრი ადგილობრივი გზები, 109 ავტობუსის გაჩერება და 22,667 მ^2 საფეხმავლო ზონა; მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 1 საგამოფენო დარბაზი, 3 სპორტული ობიექტი და 700 მ^2 საპარკინგე ადგილები, შეძენილია 10 ავტობუსი; და დამონტაჟებულია/რეაბილიტირებულია 92 შუქნიშანი; ნაყიდია და მოწყობილია 51 ნაგვის ურნა, კერძოდ შემდეგი პროექტების ფარგლებში:
    1. მაჩაბლის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს საგზაო უსაფრთხოების ზრდას - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 0.635 კმ. ადგილობრივი გზები და 1277 მ^2 საფეხმავლო ზონები;
    2. რუსთაველის გამზირის და ლაღიძის ქუჩის კვეთაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 90 მ^2 საფეხმავლო ზონები და ნაყიდია დამონტაჟებულია 7 ნაგვის ურნა;
    3. აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 100 საფეხურიანი კიბის რეაბილიტაცია - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 900 მ^2 საფეხმავლო ზონები;
    4. სააკაძის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს საგზაო უსაფრთხოების ზრდას - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 1.2 კმ. ადგილობრივი გზები და 2771 მ^2 საფეხმავლო ზონები;
    5. კუპრაძის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს საგზაო უსაფრთხოების ზრდას - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 0.93 კმ. ადგილობრივი გზები და 3430 მ^2 საფეხმავლო ზონები;
    6. რეზო ჭეიშვილის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს საგზაო უსაფრთხოების ზრდას -

მოწყობილია/რეაბილიტირებულია 1.336 კმ. ადგილობრივი გზები და 3820 $მ^2$ საფეხმავლო ზონები;

7. ილია ჭავჭავაძის გამზირზე (მოსწავლე ახალგზარდობის სასახლის მიმდებარედ), საავტომობილო მოძრაობის უსაფრთხოების მარეგულირებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა - დამონტაჟებული/რეაბილიტირებული 50 შუქნიშანი;
8. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების აღჭურვა, ელექტრო საინფორმაციო ტაბლოებით - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 108 ავტობუსის გაჩერება;
9. ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, ნიკეას ქუჩის მეშვიდე ჩიხის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 0.353 კმ. ადგილობრივი გზები და 631 $მ^2$ საფეხმავლო ზონები;
10. ბუკიას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 1.35 კმ. ადგილობრივი გზები და 4687 $მ^2$ საფეხმავლო ზონები;
11. მცირეგაბარიტიანი ავტობუსების (მიკროავტობუსების) შეძენა, რეგიონულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ურბანული ტერიტორიების ინტეგრაციისათვის - შეძენილია 10 ავტობუსი;
12. ლესელიძის ქუჩაზე, ჯომარდობის ხელშეწყობის მიზნით, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა - მოწყობილია/აღჭურვილია/ რეაბილიტირებულია 1 სპორტული ობიექტი;
13. ქალაქ ქუთაისის, როგორც რეგიონული ცენტრის მიზიდულობის გაზრდა რეაბილიტირებული საზოგადოებრივი სივრცის (დავით აღმაშენებლის გამზირზე ე.წ. პალმების ხეივანში რეკრეაციული ინფრასტრუქტურისა და ველო-ბილიკების) მეშვეობით - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 4801 მ2 საფეხმავლო ზონები და ნაყიდია დამონტაჟებულია 35 ნაგვის ურნა;
14. მინდვრის ჰოკეის მოედნის მოწყობა - მოწყობილია/აღჭურვილია/ რეაბილიტირებულია 1 სპორტული ობიექტი;
15. ქალაქის მასშტაბით საავტომობილო და ქვეითთა მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნების განახლება. არსებული შუქნიშნების ნაცვლად, ადაპტირებული შუქნიშნების მოწყობა - დამონტაჟებულია/ რეაბილიტირებულია 42 შუქნიშანი;
16. ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის ნაცვლად, რეკრეაციული ინფრასტრუტურის მოწყობა (მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცე) - მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 1 საგამოფენო დარბაზი;
17. კლდეზე ცოცვის სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა - მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 1 სპორტული ობიექტი;
18. ხ.დ.კ-ს დასახლების ურბანული განახლებისთვის რეკრეაციულ-დასასვენებელი ინფრასტრუქტურისა და მიმდებარე საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 1 ავტობუსის გაჩერება, მოწყობილია/რეაბილიტირებულია 700 $მ^2$ საპარკინგე ადგილები, აშენებულია/რეაბილიტირებულია/მოწყობილია 260 $მ^2$ საფეხმავლო ზონები და ნაყიდია და მოწყობილია 9 ნაგვის ურნა.

- კახეთის რეგიონის ჭრილში პირველი პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებულია 13 პროექტი, საიდანაც ინდიკატორის სამიზნეების შესრულებაზე კონკრეტული აქტივობები გათვალისწინებულია 12 პროექტზე. აღნიშნული პროექტებიდან EU4ITD-ს მყისიერი შედეგების სამიზნე მოცულობები გადაჭარბებით სრულდება მხოლოდ კახეთის შემთხვევაში 4 ინდიკატორზე, ხოლო 3-ზე - ნაწილობრივ, კერძოდ: მოწყობილია/რეაბილიტირებულია 2.6 კილომეტრი ადგილობრივი გზები, 13 ავტობუსის გაჩერება, 17 544 მ^2 საფეხმავლო ზონა და 2815 მ^2 საპარკინგე ადგილები; დამონტაჟებულია /რეაბილიტირებულია 20 შუქნიშანი; მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 3 სპორტული ობიექტი; 180 ქუჩის შენობებზე დამონტაჟებულია ქუჩის დასახელებები და ნომრები; ნაყიდია და მოწყობილია 645 ნაგვის ურნა, კერძოდ შემდეგი პროექტების ფარგლებში:
    1. ქალაქ თელავის აღმოსავლეთ ნაწილის ურბანული განახლება „მშვიდობის პარკის“ მოწყობით - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 1 ავტობუსის გაჩერება, 700 მ2 საპარკინგე ადგილები, 8647 მ2 საფეხმავლო ზონები და ნაყიდია/მოწყობილია 30 ნაგვის ურნა;
    2. ქალაქ თელავში საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციურ ობიექტებთან მისასვლელი გზის და პარკინგის მოწყობა - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 0.279 კილომეტრი ადგილობრივი გზები და 980 მ^2 საპარკინგე ადგილები;
    3. რეგიონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ქალაქ თელავში ქუჩების დამისამართება, სტანდარტიზაცია და საინფორმაციო დაფების მოწყობა - 180 ქუჩის შენობებზე დამონტაჟებულია ქუჩის დასახელებები და ნომრები;
    4. ნარჩენების შეგროვების მიზნით კონტეინერების შესყიდვა და განთავსება - ნაყიდია და მოწყობილია 400 ნაგვის ურნა;
    5. საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სპორტული მოედნისა და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა - მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 1 სპორტული ობიექტი, აშენებულია/რეაბილიტირებულია/მოწყობილია 1517 მ^2 საფეხმავლო ზონები, ნაყიდია და მოწყობილია 35 ნაგვის ურნა;
    6. "ქ. თელავში, ჩოხელის და ბახტრიონის ქუჩებს შორის არსებული ხევის მიმდებარე ტერიტორიის ურბანული განახლება მრავალფუნქციური რეკრეაციული სივრცეების მოწყობით - მოწყობილია/რეაბილიტირებულია მ^2 435 საპარკინგე ადგილები, 7020 მ^2 საფეხმავლო ზონები, ნაყიდია და მოწყობილია 100 ნაგვის ურნა;
    7. თელავის ცენტრში ისტორიული დასახლების ურბანული განახლება - ყორჩიბაშვილების ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის რეაბილიტაცია, ციხესთან მისასვლელი გზის, გადასახედის და მიმდებარე სკვერის კეთილმოწყობა - აშენებულია/რეაბილიტირებულია/მოწყობილია 190 მ^2 საფეხმავლო ზონები, ნაყიდია და მოწყობილია 25 ნაგვის ურნა;
    8. ქალაქ თელავის ურბანული განახლება ალაზნის გამზირის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციით - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 2.323 კმ. ადგილობრივი გზები და 12 ავტობუსის გაჩერებები;

9. ქალაქ თელავში საგზაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შუქნიშნების მოწყობა - დამონტაჟებულია/რეაბილიტირებულია 20 შუქნიშანი;
10. ქალაქ თელავში პარკი „ნადიკვრის“ ტერიტორიაზე დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 700 $м^2$ საპარკინგე ადგილები, 170 $м^2$ საფეხმავლო ზონები, ნაყიდია და მოწყობილია 55 ნაგვის ურნა;
11. ქალაქ თელავში გივი ჩოხელის სახელობის საფეხბურთო სტადიონზე არსებული სათადარიგო ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია - მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 1 სპორტული ობიექტი;
12. საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჩოგბურთის კორტების მოდერნიზება ოთხივე სეზონზე ფუნქციონირებისათვის - მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 1 სპორტული ობიექტი.

- გურიის რეგიონის ჭრილში პირველი პრიორიტეტის ფარგლებში აქტივობები განხორციელდა შემდეგი მიმართულებით: მოწყობილია/რეაბილიტირებულია 1.94 კილომეტრი ადგილობრივი გზები, 20,992 $м^2$ საფეხმავლო ზონა და 900 $м^2$ საპარკინგე ადგილები; მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 1 საგამოფენო დარბაზი და 4 სპორტული ობიექტი; ნაყიდია და მოწყობილია 84 ნაგვის ურნა; აგრეთვე მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 4 სკვერი/პარკი, კერძოდ შემდეგი პროექტების ფარგლებში:
    1. ქალაქ ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის (დოლიძის და ბოლქვაძის ქუჩები) რეაბილიტაცია - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 0.39 კმ. ადგილობრივი გზები, 120 $м^2$ საპარკინგე ადგილები და 3406 $м^2$ საფეხმავლო ზონები მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 2 სპორტული ობიექტი, ნაყიდია და მოწყობილია 15 ნაგვის ურნა;
    2. ქალაქ ოზურგეთის ცენტრალური მოედნის და მიმდებარე პარკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. ი. პეტრიწის ქუჩაზე მდებარე პარკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია - აშენებულია /რეაბილიტირებულია/ მოწყობილია 9333 $м^2$ საფეხმავლო ზონები, ნაყიდია და მოწყობილია 33 ნაგვის ურნა;
    3. ქალაქ ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 0.7 კმ. ადგილობრივი გზები და 3510 $м^2$ საფეხმავლო ზონები, მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 1 სპორტული ობიექტი;
    4. ქალაქ ოზურგეთში ნინოშვილის ქუჩაზე დასასვენებელი-რეკრიაციული არეალის მოწყობა - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 0.85 კმ. ადგილობრივი გზები, 780 $м^2$ საპარკინგე ადგილები და 3643 $м^2$ საფეხმავლო ზონები, მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 1 სპორტული ობიექტი, ნაყიდია და მოწყობილია 28 ნაგვის ურნა;
    5. ქალაქ ოზურგეთში მალაზონიას ქუჩაზე საჩოგბურთო ცენტრის მშენებლობა - მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 1 სპორტული ობიექტი, აშენებულია/რეაბილიტირებულია/მოწყობილია 3643 $м^2$ საფეხმავლო ზონები და ნაყიდია და მოწყობილია 8 ნაგვის ურნა;

- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონში პრიორიტეტი 1-ს ქვე-ღონისძიება 1.1 B-ს ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დაფინანსებული 2 პროექტით აქტივობები განხორციელდა შემდეგი მიმართულებით: მოწყობილია/რეაბილიტირებულია 1200 m^2 საფეხმავლო ზონა; მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 4 სპორტული ობიექტი; მოწყობილია/რეაბილიტირებულია 200 m^2 საპარკინგე ადგილები; ნაყიდია და მოწყობილია 30 ნაგვის ურნა, კერძოდ შემდეგი პროექტების ფარგლებში:
    1. ქალაქ ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის მიმდებარე სანაპიროს კეთილმოწყობა - აშენებულია/რეაბილიტირებულია/მოწყობილია 1200 m^2 საფეხმავლო ზონები და ნაყიდია და მოწყობილია 30 ნაგვის ურნა;
    2. ქალაქ ამბროლაურის როგორც რეგიონული ცენტრის სოციალურ-ეკონომიკური, სპორტული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის გაზრდის მიზნით მრავალფუნქციური ღია სპორტული კომპლექსის მშენებლობის სამუშაოები - მოწყობილია/რეაბილიტირებულია 200 m^2 საპარკინგე ადგილები, მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 4 სპორტული ობიექტი.

2020-2022 წლებში, სრიგპ-ის პრიორიტეტი 1-ს ღონისძიება 1.1-ს ფარგლებში ჯამში დაფინანსდა 65,909,347 ლარის ღირებულების 40 პროექტი. აღნიშნული პროექტებით სხვა ტიპის მყისიერ შედეგებთან ერთად ოთხივე საპილოტე რეგიონის მიერ აგრეთვე მიღწეულ იქნა EU4ITD ფინანსური შეთანხმების 2.1.2 ინდიკატორის მყისიერი შედეგების სამიზნეებიც, კერძოდ:

ცხრილი 28. EU4ITD ფინანსური შეთანხმების 2.1.2 ინდიკატორის სამიზნეების მიღწევის პროგრესი

N	EU4ITD-ს მყისიერი შედეგები 1.1 A, 1.1 B			სამიზნე	მონაცემები	%
1	ადგილობრივი გზები მოწყობილია/რეაბილიტირებულია		კმ	20	10.346	52%
2	ავტობუსის გაჩერებები მოწყობილია/რეაბილიტირებულია		რ-ბა	15	122	813%
3	მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია	თეატრი	რ-ბა	0	0	400%
		საკონცერტო დარბაზი	რ-ბა	0	0	
		საგამოფენო დარბაზი	რ-ბა	0	2	
		სპორტული ობიექტი	რ-ბა	0	14	
		სულ	**რ-ბა**	**4**	**16**	
4	საპარკინგე ადგილები მოწყობილია/რეაბილიტირებულია		კვად.	200	4615	2308%
5	შეძენილია ავტობუსები		რ-ბა	10	10	100.0%
6	შენობებზე დამონტაჟებულია ქუჩის დასახელებები და ნომრები		რ-ბა	35	180	514.3%
7	შუქნიშნები დამონტაჟებულია/რეაბილიტირებულია		რ-ბა	50	112	224%
8	ყოფილი ინდუსტრიული ტერიტორიები - ბრაუნფილდი დაფუძნებულია/ფუნქციონირებს		რ-ბა	2	2	100%
9	საფეხმავლო ზონები აშენებულია/რეაბილიტირებულია/მოწყობილია		კვად. მ	2000	62403	3120%
10	ნაყიდია და მოწყობილია ნაგვის ურნები		რ-ბა	800	810	101%

ევროკავშირის პოლიტიკის მატრიცის 2.1.2 ინდიკატორის სამიზნის შესრულება	150%

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე EU4ITD ფინანსური შეთანხმების 2.1.2 ინდიკატორის მყისიერი შედეგებით გათვალისწინებული 6 სამიზნის მიღწევის ნაცვლად, ოთხივე საპილოტე რეგიონის მიერ მიღწეულ იქნა 9 სამიზნე. აღსანიშნავია, რომ EU4ITD ფინანსური შეთანხმების 2.1.2 ინდიკატორი ვრცელდება სრიგპ-ის პრიორიტეტი 1-ის ღონისძიება 1.1-ზე, თუმცა ეს ინდიკატორი ასევე ითვალისწინებს მე-8 სამიზნის - „ყოფილი ინდუსტრიული ტერიტორიები დაფუძნებულია/ფუნქციონირებს“ მიღწევასაც, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტივობა ფინანსდება მხოლოდ სრიგპ-ის ღონისძიება 1.2-ს ფარგლებში, შესაბამისად აღნიშნული სამიზნე სრიგპ-ის ღონისძიება 1.1-ის ფარგლებში ვერანაირად ვერ იქნებოდა მიღწეული, თუმცა საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიამ რეგენერაციის გეგმების შესამუშავებლად 24/05/2021 N3 სხდომაზე მოიწონა „რეგენერაციის გეგმის შედგენის სახელმძღვანელო“. სახელმძღვანელოს მიხედვით ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ექსპერტების მხარდაჭერით შემუშავდა ქუთაისის, ტყიბულის და სამტრედიის შესაბამისი ტერიტორიების რეგენერაციის გეგმები. აღნიშნული გეგმები სამთავრობო კომისიას მიეწოდა 2022 წლის ინავარში და მოწონებული იქნა კომისიის მე-11 სხდომაზე. შესაბამისად ზემოხსენებული გადაწყვეტილების ფარგლებში, სამტრედიის და ტყიბულის მუნიციპალიტეტების მიერ რეგენერაციის გეგმების ფარგლებში განსაზღვრულ ტერიტორიებზე 2022 წელს დაფინანსებულ იქნა 5 პროექტი ქვე-ღონისძიება 1.2 ა-ს ფარგლებში.

გარდა ამისა, სრიგპ-ის მე-4 პრიორიტეტის ფარგლებში აგრეთვე იქნა შესრულებული ამ ინდიკატორის სამიზნეები, კერძოდ:

- მოწყობილია/რეაბილიტირებულია 59.2 კმ ადგილობრივი გზები, რაც 2.1.2-თ გათვალისწინებულ სამიზნეს თითქმის 3-ჯერ აღემატება;
- მოწყობილია/აღჭურვილია/რეაბილიტირებულია 2 სპორტული ობიექტი;
- მოწყობილია/რეაბილიტირებულია 4816.65 მ^2 საპარკინგე ადგილები რაც 2.1.2-თ გათვალისწინებულ სამიზნეს დაახლოებით 24-ჯერ აღემატება;
- მოწყობილია/რეაბილიტირებულია 44544.5 მ^2 საფეხმავლო ზონა, რაც 2.1.2-თ გათვალისწინებულ სამიზნეს დაახლოებით 22-ჯერ აღემატება;
- ნაყიდია და მოწყობილია 696 ნაგვის ურნა.

ცალსახად შეიძლება აღინიშნოს რომ EU4ITD ფინანსური შეთანხმების ინდიკატორი 2.1.2-ის სამიზნეები სრულად იქნა მიღწეული და 2.1.2 ინდიკატორით გათვალისწინებული ტრანში - 1.5 მილიონი ევროს მოცულობით, სრულად და უდანაკარგოდ უნდა იქნას გამოყოფილი.

ინდიკატორი 2.2.2-ს სამიზნის შესრულების მიმოხილვა

პრიორიტეტი 3-ს ფარგლებში ფინანსური შეთანხმების 2022 წლის ტრანშით გათვალისწინებულია შემდეგი ინდიკატორი:

ღონისძიება 3.1: 100 ბიზნესი/მიკრო/მცირე და საშუალო საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია/ოპერირებს 4 საპილოტე რეგიონში, მხარდაჭერილია:

- საგრანტო სქემით არსებული ინდუსტრიული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;
- საგრანტო სქემით მიკრო და მცირე ადგილობრივი საწარმოებისთვის მცირე აღჭურვილობის შესაძენად.

სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ სრიგპ-ის შესაბამისად, პროგრამა წარმოადგინა **ქვე-ღონისძიების 3.1. ა. „ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა“** და **ქვე-ღონისძიების 3.1. ბ. „ადგილობრივი პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მხარდაჭერა და განვითარება“** ფარგლებში. წარმოდგენილი პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

4. **ტექნიკური დახმარების კომპონენტი;**
   - პროდუქტის ლიცენზირება / სერტიფიცირება საერთაშორისო სტანდარტებით;
   - ბრენდინგი/პროდუქციის შეფუთვა;
   - საერთაშორისო გაყიდვების სტიმულირება - საერთაშორისო სავაჭრო ქსელში შესვლის ხელშეწყობა.

5. **სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინანსების კომპონენტი** (მოიცავს 312 მიზნობრივ ეკონომიკურ საქმიანობას);

6. **მიკრო და მცირე გრანტების კომპონენტი ბიზნესის წამოწყებისათვის ან/და არსებულის გადაიარაღებისათვის** (300-ზე მეტი ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით).

ცხრილი 29. პროგრამის კომპონენტების მიხედვით ბიუჯეტის განაწილება

აქტივობის დასახელება	რეგიონი	2022
ტექნიკური დახმარების კომპონენტი	იმერეთი	43,760
	კახეთი	35,630
	გურია	14,030
	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6,580
	ჯამი	100,000
სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინასების კომპონენტი	იმერეთი	3,938,400
	კახეთი	3,206,700
	გურია	1,262,700
	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	592,200
	ჯამი	9,000,000
მიკრო და მცირე გრანტების კომპონენტი	იმერეთი	3,106,960
	კახეთი	2,529,730
	გურია	996,130
	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	467,180
	ჯამი	7,100,000
სულ ჯამი		**16 200 000**

ჯამში პროგრამის განსახორციელებლად 2022 წლისთვის გათვალისწინებულია 16.2 მლნ ლარი. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის საგრანტო კონკურსები გამოცხადდა: ტექნიკური დახმარების კომპონენტისთვის - 2022 წლის მაისიდან; სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინასების კომპონენტისთვის - 2022 წლის დასაწყისიდან; მიკრო და მცირე გრანტების კომპონენტისთვის - 2022 წლის მარტიდან.

მიკრო და მცირე გრანტების კომპონენტი

2022 წლის 21 მარტს კონკურსი გამოცხადდა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 6236 საგრანტო განაცხადი საპილოტე რეგიონებიდან: იმერეთი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი და გურია. კონკურსის რეგიონებში კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 281 ბენეფიციარი. აღნიშნულ ბენეფიციარებზე გაცემულმა გრანტის მოცულობამ 7.1 მლნ ლარი შეადგინა.

ცხრილი 30. შემოსული განაცხადების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	მიღებული ბიზნეს იდეები	დატრენინგებული	გაფორმებული ხელშეკრულებები	დაფინანსებული ბენეფიციარები	საგრანტო თანხა
იმერეთი	1991	475	149	126	3,080,055.16
კახეთი	1843	462	130	97	556,835.00
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1500	389	114	21	2,497,924.44
გურია	902	217	61	37	964,170.25
სულ	**6236**	**1543**	**454**	**281**	**7,098,984.85**

ცხრილი 31. დაფინანსებული განაცხადების რაოდენობა და მოცულობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	**პროექტების რაოდენობა**	**გრანტის მოცულობა**
იმერეთი	126	3,080,055.16
გურია	37	964,170.25
კახეთი	97	2,497,924.44
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	21	556,835.00
ჯამი	**281**	**7,098,984.85**

სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინასების კომპონენტი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილების, უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, საპილოტე რეგიონებში ჯამში, სააგენტოს მხრიდან დადასტურებულია 46 სესხის/ლიზინგის განაცხადი. გადამამუშავებელ საწარმოებზე (17 განაცხადი), გრანტის და სესხის/ლიზინგის პროცენტის სუბსიდირების სახით გამოყოფილია 2,099,748.38 ლარი, ხოლო მომსახურების სფეროს სხვადასხვა საქმიანობებზე, ჯამში 29 დადასტურებულ განაცხადზე გრანტის და სესხის/ლიზინგის პროცენტის სუბსიდირების სახით გამოყოფილია 6,892,588.62 ლარი. ჯამში 46 მცირე და საშუალო ზომის კომპანიებზე კომერციული ბანკების მიერ სააგენტოს პროგრამის სესხის/სალიზინგო პროექტის დაფინასების კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხებიდან, რომელთა ჯამური მოცულობა

შეადგენს - 20,713,000 ლარს, 20,394,500 ლარი მიმართულია/მიიმართება ძირითადი/კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებისთვის.

ფიგურა 12. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა, ფინანსური მოცულობა და რეგიონული განაწილება



ტექნიკური დახმარების კომპონენტი

ექსპორტის სტიმულირების პროგრამა გამოცხადდა 2022 წლის 7 აპრილს, რომლის ფარგლებში ტექნიკური დახმარების კომპონენტი ვრცელდება შემდეგ სამ მიმართულებაზე: პროდუქტის ლიცენზირება/სერტიფიცირება; ბრენდინგი/პროდუქციის შეფუთვა; საერთაშორისო გაყიდვების სტიმულირება/ საერთაშორისო სავაჭრო ქსელში შესვლა. საპილოტე რეგიონებიდან ჯამში შემოსულია 2 განაცხადი მიიღებს დაფინანსებას ბრენდინგის, საერთაშორისო ქსელში შესვლაში და სერტიფიცირების დანერგვაში.

ცხრილი 32. კომპონენტის ფარგლებში შემოსული განაცხადების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

პროგრამის კომპონენტის დასახელება	ბრენდინგი				სერტიფიცირება		საერთ. ქსელში შესვლა	
საპილოტე რეგიონი	გამარჯვებული განაცხადი	დაფინანსების მოცულობა - ₾	განხილვის პროცესში	გამარჯვების შემთხვევაში დაფინანსების მოცულობა - ₾	გამარჯვებული განაცხადი	დაფინანსების მოცულობა - ₾	გამარჯვებული განაცხადი	დაფინანსების მოცულობა - ₾
იმერეთი	1	17,010	-	-	-	-	-	-
კახეთი	-	-	-	-	-	-	-	-
გურია	-	-	-	-	-	-	1	28,320
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-	-	-	-	-	-	-	-

ჯამში სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამით და მისი კომპონენტების ფარგლებში დაფინანსდა 329 პროექტი, რისთვისაც გამოიყო 16,136,651.85 ლარი, რაც სააგენტოსთვის გამოყოფილი 16.2 მილიონის თითქმის 100% შეადგენს.

ა(ა)ი.პ სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტებისთვის გათვალისწინებული ჯამური ბიუჯეტი 20 მილიონი ლარს შეადგენს.

ფიგურა 13. ფინანსური რესურსების რეგიონული განაწილება



სააგენტოს პროგრამა ადგილობრივ მეწარმეებს ან ფიზიკურ პირებს ახალი საწარმოების შექმნის, ასევე არსებული საწარმოების გაფართოება ან/და გადაიარაღების საშუალებას აძლევს. პროგრამის ამოცანაა ქვეყანაში სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, მიზნობრივ რეგიონებში პროექტების დაფინანსების გზით და აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

პროგრამის ფარგლებში გრანტის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირების (რომლებიც ოპერირებენ და რეგისტრირებულები არიან ოთხ საპილოტე რეგიონ(ებ)ში) მიერ წარდგენილი პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 300 ათასი ლარისა და არაუმეტეს 1 მილიონი ლარისა. სააგენტოს დაფინანსების მოცულობა შეადგენს პროექტის ჯამური ღირებულების 60%, მაგრამ არაუმეტეს 600 ათასი ლარისა.

პროგრამის ფარგლებში საგრანტო კონკურსი გამოცხადდა სააგენტოს ვებგვერდზე 2022 წლის პირველ თებერვალს და გაგრძელდება პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ამოწურვამდე.

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ ჯამში დაფინანსებულ იქნა 43 მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმო, საიდანაც 31 საწარმო წარმოადგენს სურსათის გადამამუშავებელი ტიპისაა, ხოლო 12 - ინდუსტრიული ტიპის. დაფინანსებული 43 პროექტიდან მცირე აღჭურვილობის შესყიდვის კუთხით დაფინანსებულია 14 მიკრო და

მცირე საწარმო. ჯამში სააგენტოს მიერ გაცემულ იქნა 17,569,004 ლარის ღირებულების გრანტები.

ფიგურა 14. გამოყოფილი და გაცემული გრანტების შედარება



ფიგურა 15. დაფინანსებული პროექტების რეგიონული განაწილება



ჯამში სრიგპ-ის ღონისძიება 3.1-ის ფარგლებში „სოფლის განვითარების სააგენტოს“ და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში’ მიერ დაფინანსებულია **372 პროექტი ჯამური ღირებულებით 33 705 656 ლარი**, საიდანაც **36 წარმოადგენს ინდუსტრიული ტიპის საწარმოს.** დაფინანსებული პროექტებიდან სახეობების მიხედვით - 40 წარმოადგენს გადამამუშავებელ საწარმოს, 9 - შემნახველს, 60 ძირითადი საშუალებების - მცირე აღჭურვილობის შესყიდვის კუთხით დაფინანსებული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს, ხოლო მომსახურების სფეროს

სხვადასხვა საქმიანობების - 29 საწარმოს და სხვა. გარდა ამისა, **მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში** დაფინანსდა სხვადასხვა სახეობის 281 პროექტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორივე სააგენტოს მიერ ***პროექტები დაფინანსებულია*** როგორც, ***მიკრო და მცირე საწარმოების მხარდაჭერის მიმართულებით,*** ასევე ***ინდუსტრიული საწარმოების განვითარება - გაფართოების მიმართულებითაც.*** საანგარიშო პერიოდისთვის **EU4ITD ფინანსური შეთანხმების 2.2.2 ინდიკატორის სამიზნე 100% არის მიღწეული** - ორივე მიმართულებით ***დაფინანსებულია 372 პროექტი.***

ცალსახად შეიძლება აღინიშნოს, რომ EU4ITD ფინანსური შეთანხმების ინდიკატორი 2.2.2-ის სამიზნეები სრულად იქნა მიღწეული და 2.2.2 ინდიკატორით გათვალისწინებული ტრანში - 1 მილიონი ევროს მოცულობით, სრულად და უდანაკარგოდ უნდა იქნას გამოყოფილი.

ინდიკატორი 3.1.2-ს სამიზნის შესრულების მიმოხილვა

პრიორიტეტი 2-ს ღონისძიების 2.1 –"რეგიონული ტურიზმის პოტენციალის განვითარება" ფარგლებში ფინანსური შეთანხმების 2022 წლის ტრანშით გათვალისწინებულია შემდეგი ინდიკატორი:

ინდიკატორი 3.1.2 : სრიგპ-ის პრიორიტეტი 2-ს ღონისძიება 2.1-ის ფარგლებში არანაკლებ 3 ტიპის კულტურის ობიექტები/ტერიტორიები და მცირე ზომის ინფრასტრუქტურის ობიექტი რეაბილიტირებულია:

ცხრილი 33. EU4ITD ფინანსური შეთანხმების 3.1.2 ინდიკატორის სამიზნეები

	EU4ITD-ს მყისიერი შედეგები 2.1 A, 2.1 B	შეწონილი ქულა
1.	20 ერთეული მცირე ზომის ინფრასტრუქტურის, როგორიცაა საპარკინგე ადგილები, სანიტარული წერტილები, საინფორმაციო ბანერები, ტურისტული თავშესაფრები, საკემპინგე და დასასვენებელი ადგილები მოწყობილია ან რეაბილიტირებულია;	20
2.	4 მუზეუმი ან მცირე საგამოფენო ცენტრი მოწყობილია ან რეაბილიტირებულია;	20
3.	700 m^2 მცირე ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილები მოწყობილია ან რეაბილიტირებულია;	20
4.	4 კულტურის ან ბუნების ძეგლი მოწყობილია ან რეაბილიტირებულია;	20
5.	2 კმ. საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკები მოწყობილია	20
	ჯამური შეწონილი ქულა	**100**

ჯამში 2021-2022 წლებში პრიორიტეტი 2-ს, 2.1 ა და 2.1 ბ ღონისძიებების შესაბამისი 32-მდე პროექტის ფარგლებში EU4ITD ფინანსური შეთანხმების 3.1.2 ინდიკატორის მყისიერი შედეგების სამიზნეების მიღწევის კუთხით, რეგიონულ ჭრილში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

- იმერეთის რეგიონში EU4ITD ფინანსური შეთანხმების შესაბამის ინდიკატორებს აკმაყოფილებს იმერეთის მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული 14 პროექტი, კერძოდ: მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 12 საპარკინგე ადგილი, 6 სანიტარული წერტილი, 10 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი, 12 m^2 ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილი, 1 კულტურის ან ბუნების ძეგლი და 0.9 კმ. საკემპინგე ადგილებისკენ

მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკი, კერძოდ შემდეგი პროექტების ფარგლებში:

1. საჩხერის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ,,მოდინახის ციხის" მისასვლელისა და მიმდებარედ ტერიტორიის კეთილმოწყობა - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 2 საპარკინგე ადგილი, 1 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი;
2. საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სხვიტორში აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საპარკინგე ადგილი, 1 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი;
3. მუნიციპალიტეტში ტურისტების მიმზიდველობის უზრუნველყოფისთვის ხონის ბულვარის რეაბილიტაცია - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი;
4. ქალაქ ზესტაფონში ცენტრალური პარკის (ირინეს პარკის) რეაბილიტაცია - - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 სანიტარული წერტილი და 1 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი;
5. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროში ვარინკა წერეთლის სახელობის თეატრონის რეაბილიტაცია - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საპარკინგე ადგილი, 2 სანიტარული წერტილი და 1 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი;
6. ქალაქ ვანში გივი ყიფიანის სახელობის ტყე-პარკის რეაბილიტაცია - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 2 საპარკინგე, 1 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი და 1 კულტურის ან ბუნების ძეგლი;
7. ქალაქ წყალტუბოში, „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სანიტარული წერტილების მოწყობა - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 სანიტარული წერტილი;
8. კაცხის სვეტთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 2 საპარკინგე ადგილი;
9. ჭიათურაში ყაზბეგის ქუჩაზე გედების ტბისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საპარკინგე ადგილი;
10. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარების მიზნით ქალაქ ჭიათურაში საშევარდნოს კლდესთან მისასვლელი გზის და გადმოსახედის მოწყობა. - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საპარკინგე ადგილი, 1 სანიტარული წერტილი და 1 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი;
11. უნიკალური ტურისტული პოტენციალის განვითარების მხარდასაჭერად, ცხრაჯვარიდან სოფელ ძმუისის კანიონამდე ტურისტული ბილიკის მოწყობა - მოწყობილია 0.9 კმ. საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკი;
12. დაბა ხარაგაულში მდებარე დევების ქანდაკებებისა და მიმდებარე სკვერის რეკონსტრუქცია - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საპარკინგე

ადგილი, 1 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი და 12 $მ^2$ მცირე ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილი;

13. სოფელ მიროწმინდაში ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საპარკინგე ადგილი;
14. ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სოფ. ძევრში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ზონის მოწყობა - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საპარკინგე ადგილი, 1 სანიტარული წერტილი და 1 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი.

- კახეთის რეგიონში შესაბამის ინდიკატორებს აკმაყოფილებს კახეთის მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული 6 პროექტი. აღნიშნული პროექტებიდან EU4ITD-ს მყისიერი შედეგების სამიზნე მოცულობები კახეთის შემთხვევაში ნაწილობრივ სრულდება 5-ივე ინდიკატორზე, კერძოდ: მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 5 საპარკინგე ადგილი, 4 სანიტარული წერტილი, 1 ტურისტული თავშესაფარი, 2 მუზეუმი და 1 საგამოფენო ცენტრი, 8 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი, 168 $მ^2$ ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილი, 2 კულტურის ან ბუნების ძეგლი და 1.5 კმ. საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკი, კერძოდ შემდეგი პროექტების ფარგლებში:
    1. ლაგოდეხის ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 მუზეუმი;
    2. კოდას საკურორტო ზონის განვითარების ხელშეწყობა ტურისტული და ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობით - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 ტურისტული თავშესაფარი;
    3. თუშეთში, „ხითანას“ ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 სანიტარული წერტილი, 1 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი და 0.5 კმ. საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკი;
    4. ციხე-ქალაქ კვეტერის ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა და პოპულარიზება მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობით. - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 3 საპარკინგე ადგილი, 2 სანიტარული წერტილი და 3 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი, 1 მცირე საგამოფენო ცენტრი, 55 $მ^2$ მცირე ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილი, 1 კულტურის ან ბუნების ძეგლი და 0.5 კმ. საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკი;
    5. ჯონ მალხაზ შალიკაშვილის სახელობის ქართული მხედრული ისტორიის მუზეუმის რეაბილიტაცია - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 მუზეუმი;
    6. ქალაქ დედოფლისწყაროში ციხე-ქალაქ ხორნაბუჯის ტურისტული ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 2 საპარკინგე ადგილი, 1 სანიტარული წერტილი და 4 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი, 113 $მ^2$

მცირე ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილი, 1 კულტურის ან ბუნების ძეგლი და 0.5 კმ. საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკი;

- გურიის რეგიონში განხორციელებული პროექტების ფარგლებში შესრულდა EU4ITD-ს მყისიერი შედეგების შემდეგი სამიზნეები: მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 5 საპარკინგე ადგილი, 4 სანიტარული წერტილი, 8 საინფორმაციო ბანერი, 1 მუზეუმი, 5 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი, 46 m^2 ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილი, 0.11 კმ. საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკი, კერძოდ შემდეგი პროექტების ფარგლებში:

    1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისთვის სოფელ შუა ამაღლების უდაბნოს სამონასტრო კომპლექსთან საგზაო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 2 საპარკინგე ადგილი, 2 სანიტარული წერტილი, 1 საინფორმაციო ბანერი და 2 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი, 14 m^2 მცირე ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილი და 0.11 კმ. საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკი;
    2. სოფელ ამაღლებაში ტაძართან და გურული ენდემური ჯიშის ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისათვის - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საპარკინგე ადგილი და 21 m^2 მცირე ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილი;
    3. ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია და ეთნოგრაფიული სივრცეების მოწყობა ჩოხატაურის მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალის შექმნის მიზნით - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საპარკინგე ადგილი, 1 სანიტარული წერტილი, 2 საინფორმაციო ბანერი და 1 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი, 1 მუზეუმი, 7 m^2 მცირე ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილი;
    4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ელექტროფიცირება მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამაღლებისა და ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირების მიზნით - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საპარკინგე ადგილი, 1 სანიტარული წერტილი, 5 საინფორმაციო ბანერი და 2 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი, 4 m^2 მცირე ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილი.

- საანგარიშო პერიოდში რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონში EU4ITD ფინანსური შეთანხმების ფარგლებში განსაზღვრული ინდიკატორი 3.1.2 სამიზნის შესრულების კუთხით ამ დროისათვის ეწყობა 19 საპარკინგე ადგილი, 10 ერთეული

სანიტარული წერტილი, 17 საინფორმაციო ბანერი, 19 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი, სულ 65 მცირე ზომის ინფრასტრუქტურული ობიექტი. მიმდინარეობს 1 მუზეუმის და 2 მცირე საგამოფენო ცენტრის მოწყობა/რეაბილიტაცია, მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 14 ბუნების ან კულტურის ძეგლი, მოწყობილია 2.38 კილომეტრი სიგრძის საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკი, კერძოდ შემდეგი პროექტების ფარგლებში:

1. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქ.ონში, სოფლებში: ღებში, გლოლაში, ჭიორაში და კურორტ შოვში მინერალური წყლების რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 6 საპარკინგე ადგილი, 6 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი და 6 კულტურის ან ბუნების ძეგლი;
2. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფელ საკაოში სახაზოს მთისკენ ტურისტული ბილიკებისა და საკენპინგე ადგილების მოწყობა და სოფელ ღარში საჯვარემდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 6 საპარკინგე ადგილი, 10 სანიტარული წერტილი, 14 საინფორმაციო ბანერი, 2 ტურისტული თავშესაფარი და 6 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი და 2 კმ. საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკი;
3. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფელ ქვედა ღვირიშის ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საინფორმაციო ბანერი, 3 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი და 0.18 კმ. საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკი;
4. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფელ ისუნდერში ბუნებრივ მწვანე ჩანჩქერთან და ციხე-სიმაგრესთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 7 საპარკინგე ადგილი, 1 საინფორმაციო ბანერი, 4 საკემპინგე და დასასვენებელი ადგილი და 0.2 კმ. საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკი;
5. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის ძეგლის-დეხვირის ციხეთა კომპლექსის ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ განთავსებული მუზეუმის არტეფაქტებისათვის საგამოფენო სივრცეების მოწყობა - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 1 საინფორმაციო ბანერი, 1 მუზეუმი და 1 კულტურის ან ბუნების ძეგლი;

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რვა წყაროს თვალის კეთილმოწყობის სამუშაოები - მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 7 კულტურის ან ბუნების ძეგლი. 2020-2022 წლებში, სრიგპ-ის პრიორიტეტი 2-ის ღონისძიება 2.1-ის შესაბამისად ჯამში სრიგპ-ის ფარგლებში დაფინანსდა 23,766,732 ლარის ღირებულების 32-მდე პროექტი. აღნიშნული პროექტების მიხედვით სხვა ტიპის მყისიერ შედეგებთან ერთად ოთხივე საპილოტე რეგიონის მიერ აგრეთვე მიღწეულ

იქნა EU4ITD ფინანსური შეთანხმების 3.1.2 ინდიკატორის მყისიერი შედეგების სამიზნეებიც, კერძოდ:

ცხრილი 34. EU4ITD ფინანსური შეთანხმების 3.1.2 ინდიკატორის სამიზნეების მიღწევის პროგრესი

N	EU4ITD-ს მყისიერი შედეგები 2.1 A, 2.1 B		საზომი ერთეული	სამიზნე	შესრულება	%
1	მოწყობილია ან რეაბილიტირებულია მცირე ზომის ინფრასტრუქტურა როგორიცაა:	საპარკინგე ადგილები	რ-ბა	-	41	675%
		სანიტარული წერტილები	რ-ბა	-	24	
		საინფორმაციო ბანერები	რ-ბა	-	25	
		ტურისტული თავშესაფრები	რ-ბა	-	3	
		საკემპინგე და დასასვენებელი ადგილები	რ-ბა	-	42	
		სულ	**რ-ბა**	**20**	**135**	
2	მოწყობილია ან რეაბილიტირებულია	მუზეუმი	რ-ბა	0	4	125%
		მცირე საგამოფენო ცენტრი	რ-ბა	0	1	
		სულ	**რ-ბა**	**4**	**5**	
3	მოწყობილია ან რეაბილიტირებულია მცირე ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილები		მ²	**700**	**226**	32%
4	მოწყობილია ან რეაბილიტირებულია კულტურის ან ბუნების ძეგლი		რ-ბა	**4**	**17**	425%
5	მოწყობილია საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკები		კმ	**2**	**4.89**	245%
ევროკავშირის პოლიტიკის მატრიცის 3.1.2 ინდიკატორის სამიზნის შესრულება						133%

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სრიგპ-ის მე-4 პრიორიტეტის ფარგლებში აგრეთვე იქნა შესრულებული ამ ინდიკატორის სამიზნეები, კერძოდ:

- მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 132 მცირე ზომის ინფრასტრუქტურა რაც 3.1.2-თ გათვალისწინებულ სამიზნეს 6-ჯერ აღემატება;
- მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 3 მუზეუმი და 2 მცირე საგამოფენო ცენტრი, რაც ინდიკატორით გათვალისწინებულ სამიზნეს 125% შეადგენს;
- მოწყობილია ან რეაბილიტირებულია 124 მ² მცირე ხელნაკეთობების გასაყიდი ადგილი;
- მოწყობილია/რეაბილიტირებულია 3 კულტურის და ბუნების ძეგლი;

მოწყობილია 7.825 კმ საკემპინგე ადგილებისკენ მიმავალი ტურისტული საფეხმავლო ბილიკები, რაც 3.1.2-თ გათვალისწინებულ სამიზნეს თითქმის 4-ჯერ აღემატება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე EU4ITD ფინანსური შეთანხმების 3.1.2 მყისიერი შედეგების ინდიკატორით გათვალისწინებული 3 სამიზნის მიღწევის ნაცვლად, ოთხივე საპილოტე რეგიონის მიერ მიღწეულ იქნა ინდიკატორის 4 სამიზნე - 1, 2, 4 და 5. ყველა მიღწეული სამიზნე შესრულებულ იქნა გადაჭარბებით. მაგალითად პირველი სამიზნის შემთხვევაში 20 მცირე ზომის ინფრასტრუქტურის მოწყობის/რეაბილიტაციის ნაცვლად მოწყობილ/რეაბილიტირებულ იქნა 135 მცირე ზომის ინფრასტრუქტურის ობიექტი, რაც პირველი სამიზნის 675%-ს შეადგენს. ანალოგიურად მე-2 სამიზნე -125%, მე-4 სამიზნე - 425% და მე-5 სამიზნე - 245%.

*ცალსახად შეიძლება აღინიშნოს, რომ **EU4ITD ფინანსური შეთანხმების 3.1.2 ინდიკატორის სამიზნეები სრულად და გადაჭარბებით იქნა მიღწეული და 3.1.2 ინდიკატორით***

გათვალისწინებული ტრანში - 1.5 მილიონი ევროს მოცულობით, სრულად და უდანაკარგოდ უნდა იქნას გამოყოფილი.

2022 წელს სრიგპ-ის განხორციელებისას გამოკვეთილი ხარვეზები და რეკომენდაციები

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის განხორციელების პროგრესი ჯამში შუალედურ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე პოზიტიურად უნდა შეფასდეს, თუმცა არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას პროგრამის განხორციელების მეტი ეფექტიანობის მიღწევისთვის:

1. 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის 2022 წლის მონიტორინგის შუალედურ ანგარიშში წარმოდგენილი მაჩვენებლების მიხედვით პროგრამის ცალკეული (ქვე)ღონისძიებების მყისიერი შედეგების ინდიკატორები გვიჩვენებს, რომ ამ ინდიკატორების სამიზნეების მიღწევის პროგრესი არათანაბრად ხორციელდება. მაშინ, როდესაც ცალკეული ინდიკატორების სამიზნეები გადაჭარბებითაა შესრულებული, ზოგიერთი ინდიკატორის მიღწევის პროგრესი 0%-ს ტოლია, მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებაზე გათვალისწინებული თანხების ათვისება გეგმიურად მიმდინარეობს. აღნიშნულის მიზეზი შესაძლოა ნაწილობრივ პროგრამის „დეცენტრალიზებული - ქვემოდან-ზემოთ“ განხორციელების მიდგომა იყოს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია რეგიონული განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის ახალი დოკუმენტ(ებ)ის შემუშავებისას ცალკეული პრიორიტეტის თუ ღონისძიებ(ებ)ის მყისიერი ან/და საბოლოო შედეგების ინდიკატორების ჩამონათვალის მინიმალური პროპორციის განსაზღვრა, რომელიც სავალდებულო იქნება შესასრულებლად. ამასთან, აღნიშნული მიდგომა შესაბამისმა სამხარეო ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების შეფასებისას;
2. მომდევნო რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის ფარგლებში მუნიციპალიტეტების მიერ წარმოსადგენ საპროექტო იდეების განაცხადების ფორმებში, მიზანშეწონილია გაძლიერდეს კონკრეტული გამოწვევისა და მოგვარების გზების არგუმენტირების და წარმოდგენილი პროექტის განხორციელებით ამ გამოწვევის აღმოფხვრისათვის საპასუხო რეაგირების ნაწილი. შესაბამისად, უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების მიერ საპროექტო იდეების შემუშავების შესაძლებლობების გაძლიერება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით (სტატისტიკური მონაცემებით და წყაროებით საჭიროებებისა და მიზნების გამყარება ა.შ) ასეთის არსებობის შემთხვევაში;
3. სამხარეო ადმინისტრაციების მიერ პროექტების შეფასების ნაწილში მიზანშეწონილია შესაძლებლობების კიდევ უფრო გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა არაერთი საინფორმაციო შეხვედრა ამ მიმართულებით სამხარეო ადმინისტრაციები კვლავ საჭიროებენ დამატებით ძალისხმევას შესაძლებლობის განვითარების კუთხით. აღნიშნული უზრუნველყოფს

მუნიციპალიტეტებს შორის კიდევ უფრო მეტ კონკურენციას და საბოლოო ჯამში პროექტების ხარისხის გაზრდას;

4. ქვე-ღონისძიება 2.1 ბ-ს „ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა“ ფარგლებში 2021 წელს დაფინანსდა მხოლოდ 1 პროექტი, აგრეთვე ანალოგიურად 2022 წელსაც. ეს შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე რეაბილიტაციის სამუშაოების განსახორციელებლად დამატებითი ნებართვების და მუნიციპალიტეტების მხრიდან უფრო მეტი ძალისხმევის საჭიროებაზე, რაც აგრეთვე მოითხოვს პროექტის შესამუშავებლად უფრო მეტ დროსა და რესურსს. იმ შემთხვევაში თუ მომდევნო რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის ფარგლებში მსგავსი ღონისძიება იქნება გათვალისწინებული, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტების გადამზადება მათი ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პროექტების მომზადების ნაწილში. აგრეთვე გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი პროექტების მომზადება საჭიროებს უფრო მეტ დროს, შესაბამისი საკონკურსო დოკუმენტაციით, ამ პროექტების განხორციელებაზე მიზანშეწონილია რომ უფრო მეტი დრო იყოს გათვალისწინებული.